

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო  
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ინკლუზიური განათლების  
მარკერები საქართველოში  
INCLUSIVE EDUCATION INDICATORS IN GEORGIA



კვლევის ანგარიში  
SURVEY REPORT

კვლევა მომზადებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეორე უროეჟტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველს  
უროფესიული განათლებისა და გაღამზადების სისტემაში“ ფარგლებში

## ინკლუზიური განათლების მარგვენებლები საქართველოში

კვლევის ანგარიში, 2013

მკვლევარები:

თინათინ ჭინჭარაული – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ფსიქოლოგიის დოქტორი

ნინო ჯავახიშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი  
ფსიქოლოგიის დოქტორი



# შინაარსი

I. შესავალი.....	3
II. პროექტის მიზანი და ამოცანები.....	4
III. მეთოდოლოგია.....	5
IV. კვლევის ძირითადი შედეგები.....	8
V. დასკვნები და რეკომენდაციები.....	27
VI. გამოყენებული ლიტერატურა.....	30
VII. დანართები.....	31

1994 წელს სალამანკას დეკლარაციამ და 12 წელიწადში (2006 წელს) - გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებათა კონვენციამ მნიშვნელოვნად შეცვალა სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანთა განათლებისადმი დამოკიდებულება. სალამანკის დეკლარაციით სათავე დაედო ინკლუზიური განათლების მოდელის საყოველთაოდ აღიარების პროცესს. აღნიშნული მოდელის თანახმად, ყველა ადამიანი, განურჩევლად შესაძლებლობებისა და შეზღუდვებისა, განათლებას უნდა იღებდეს თანატოლებთან (უმრავლესობასთან) ერთად. საქართველოში ინკლუზიური განათლება განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად 2006 წლიდან იქცა. დღეისთვის განათლების მოცემული მოდელი სახელმწიფო პოლიტიკის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი გახდა. საქართველოში 2006 წლიდან დაწყებული, ზოგადი განათლების საფეხურზე და 2013 წლის თებერვლიდან, პროფესიული განათლების საფეხურზეც ინკლუზიური განათლების მოდელით სწავლება შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებად განიხილება.

როგორც ნებისმიერი სიახლე, ინკლუზიური განათლების მოდელით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა თუ პროფესიულ სასწავლებლებში არ წარმოადგენს მარტივ პროცესს. ის საჭიროებს ახალი რეგულაციების შემუშავებასა და გამოყენებას როგორც პოლიტიკის, ასევე პრაქტიკის დონეზე. მოდელის შემდგომი სრულყოფისთვის აუცილებელია ასევე უკვე შესრულებული საქმიანობის ეფექტურობის შეფასება და შეფასების საფუძველზე, საჭირო ცვლილებების განხორციელება. სხვადასხვა ექსპერტებისა თუ მშობელთა მოსაზრებებით, მრავალი ბარიერი არსებობს აღნიშნული მოდელით ეფექტური და ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისთვის. ერთ-ერთ მსგავს ბარიერს წარმოადგენს აღნიშნულ სფეროში კვლევათა სიმცირე, რომლებიც ობიექტურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ინფორმაციას უზრუნველყოფდნენ ინკლუზიური განათლების სფეროში არსებული მიღწევებისა თუ პრობლემების შესახებ. ინკლუზიური განათლების ეფექტურობის საწყისი შეფასება სამომავლო კვლევებისთვის გარკვეულ ათვლის წერტილს იძლევა და მომავალში ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარების შესახებ მსჯელობა დაეფუძნება არა სუბიექტურ მოსაზრებებს, არამედ კითხვარის შედეგების საწყის მონაცემებთან შედარებასა და ანალიზს. გარდა ამისა, შეუძლებელია რაიმე რეფორმის წარმატება-წარუმატებლობაზე საუბარი, თუ არ არსებობს შესაბამისი მონაცემები.

მოცემული კვლევა სწორედ წარმოადგენს საწყისი მონაცემების შეგროვების მცდელობას. კვლევა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ ფარგლებში.

კვლევაში, ავტორებთან შეთანხმებით, კვლევის ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულ იქნა ევროკავშირის ქვეყნებში 2009 – 2011 წლების განმავლობაში ჩატარებული ფართომასშტაბიანი კვლევის „გზა ინკლუზიისკენ - ბარომეტრი“ კითხვარი და მეთოდოლოგია. ინსტრუმენტების მსგავსება საქართველოში მიმდინარე რეფორმისა და მისი შედეგების ევროკავშირის 10 ქვეყანასთან (იხ. დანართი №1) მიმართებაში შედარებითი შეფასების საშუალებას იძლევა.

აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავდა საქართველოში ინკლუზიური განათლების რეფორმის შეფასებას.

შესაბამისად, კვლევის ამოცანები იყო სფეროს ექსპერტთა და სხვა მონაწილე მხარეთა (სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაცია, მასწავლებლები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლები, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლები) მოსაზრებების შესწავლა შემდეგ საკითხებზე:

- ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზა;
- ინკლუზიური განათლების პრაქტიკული განხორციელება საჯარო სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის დონეზე;
- ინკლუზიური განათლების მოდელის განვითარების პერსპექტივა არსებულ სიტუაციაზე დაყრდნობით;
- ინკლუზიური განათლების ბარომეტრის მაჩვენებლების განსაზღვრა;
- ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ღირებულებათა სისტემა;
- ინკლუზიური განათლების მოდელის შესახებ სხვადასხვა მონაწილე მხარეთა (ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მშობელი) მოსაზრებების შედარებითი ანალიზი.



## 3.1. ღიზანი

კვლევა განხორციელდა როგორც რაოდენობრივი (ანკეტირება), ასევე თვისებრივი მეთოდების (ფოკუს-ჯგუფი, ინტერვიუ) გამოყენებით 3 ეტაპად.

**კვლევის პირველ ეტაპზე** მომზადდა (ითარგმნა და რედაქტირება გაუკეთდა) P2i – ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების კითხვარს „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“. კითხვარს არ დასჭირდა ადაპტირება, ვინაიდან მასში მოცემული დებულებები და კითხვები უნივერსალურია ყველა ქვეყნის განათლების სისტემისთვის და განსაზღვრავს ქვეყანაში ინკლუზიური განათლების მოდელის ფაქტიურ არსებობასა და ეფექტურობას. აღნიშნული კითხვარი შედგება 3 ნაწილისგან: 1) ნაწილი ა: ეროვნული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები; 2) ნაწილი ბ: ინკლუზიური განათლების პრაქტიკა; 3) ნაწილი გ: გზა ინკლუზიური განათლებისკენ. სულ კითხვარში გაერთიანებულია 59 დებულება, რომელთა მიზანიც არის განათლების ყველა საფეხურის (სკოლამდელით დაწყებული, ცხოვრების მანძილზე განათლებით დამთავრებული) ინკლუზიური განათლების მოდელთან მიმართებაში შეფასება (დანართი №2). ინკლუზიის ბარომეტრის საშუალებით ევროკავშირის 10 ქვეყანაში მოხდა ინკლუზიური განათლების რეფორმის შეფასება (Schaedler, Dorrance, 2012); კვლევის შედეგებს საქართველოსთან მიმართებაში მოგვიანებით განვიხილავთ.

**კვლევის მეორე ეტაპზე** ინკლუზიური განათლების ექსპერტების მონაწილეობით ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი. ფოკუს-ჯგუფის მიზანი იყო P2i – ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების კითხვარის „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრის“ შევსება და ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით აღნიშნული ინსტრუმენტის ინკლუზიური განათლების პროცესში მონაწილე მხარეების (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები) გამოკითხვისთვის გამოყენების მართებულობის განსაზღვრა. ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა 5 ექსპერტთან გაგრძელდა 2 საათი, შეხვედრა მიჰყავდათ პროექტის წარმომადგენლებს, ისინი მართავდნენ ჯგუფური ინტერვიუს პროცესს, სვამდნენ კითხვებს და აფიქსირებდნენ პასუხებს. დამატებით კითხვარი შესავსებად გაეგზავნა 5 ექსპერტს. ექსპერტების მოსაზრების გათვალისწინებით გადაწყდა, რომ კვლევაში კითხვარი „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“ გამოყენებულ იქნას ექსპერტული შეფასებისთვის, ხოლო საჯარო სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებში ინკლუზიური განათლების მოდელის შეფასება მოხდეს კითხვარის „ინდექსი ინკლუზიისთვის“ მოდიფიცირებული ვერსიის საფუძველზე<sup>1</sup>. მოცემული კითხვარი წარმომადგენს ინკლუზიური განათლების საერთაშორისოდ აღიარებულ ინსტრუმენტს და საშუალებას იძლევა შეფასდეს როგორც ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ღირებულებების სისტემა, ასევე განხორციელების პროცესი და სამომავლო საჭიროებები. კვლევის მეორე ეტაპზევე მოხდა კითხვარის „ინდექსი ინკლუზიისთვის“ თარგმნა და საპილოტე შეფასება. ჩატარდა 9 ინტერვიუ კითხვარის საფუძველზე ქ. თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლის 9 მასწავლებელთან. მათ პასუხი გასცეს კითხვარის დებულებებს და გამოთქვეს კომენტარები დებულებების ქართულ რეალობასთან შესაბამისობის შესახებ. ამ კომენტარების გათვალისწინებით მოხდა ინდექსის ზოგიერთი დებულების ფორმულირების შეცვლა და ინდექსიდან ქართული რეალობისათვის არარელევანტური დებულებების ამოღება. საწყისი 345 კითხვისგან დარჩა 283 კითხვა. გარდა ამისა, რესპონდენტების მახასიათებლების გათვალისწინებით განისაზღვრა კითხვარის ორი ფორმა – საჯარო სკოლისთვის და პროფესიული სასწავლებლისთვის<sup>2</sup>.

კვლევის მესამე ეტაპზე გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი – ანკეტირება. გამოკითხულ იქნა საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაცია, სკოლებისა და კოლეჯების

1 კითხვარი „ინდექსი ინკლუზიისთვის“ <http://www.csie.org.uk/resources/inclusion-index-explained.shtml>

2 კითხვარის შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მკვლევარს ელექტრონულ ფოსტაზე – tinatin.chincharauli@iiliani.edu.ge

მასწავლებლები და მშობლები (როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების, ასევე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებისა და სტუდენტების). რადგან კითხვარი საკმაოდ მრავალ კითხვას მოიცავდა, მისი შევსება მოითხოვდა დაახლოებით 2 საათს. ინტერვიუერი პირისპირ ხვდებოდა სკოლისა და პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებს, ურიგებდა კითხვარებს, რომლებსაც რესპონდენტები დამოუკიდებლად ავსებდნენ, თუმცა, ინტერვიუერის თანდასწრებით. შევსების პროცესში გაჩენილ კითხვებს ინტერვიუერი იქვე პასუხობდა. სკოლის და პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლებს პროექტის ხელმძღვანელები და ინტერვიუერები წინასწარ უკავშირდებოდნენ და უთანხმდებოდნენ შეხვედრაზე. იყო შემთხვევები, როცა რესპონდენტებმა გვთხოვეს კითხვარის წინასწარ გაგზავნა, რაც შესრულდა. ასევე, ზოგ შემთხვევაში ინტერვიუერებს უწევდათ ობიექტზე მისვლა რამდენჯერმე, რადგან 5-ვე რესპონდენტი ყოველთვის ადგილზე არ იმყოფებოდა. შევსებული კითხვარები ინტერვიუერებმა შეიყვანეს პროგრამა SPSS-ში, რომლებიც შემდგომ ამავე პროგრამაში დამუშავდა სტატისტიკურად.


### 3.2. მიზნობრივი ჯგუფები და შერჩევა


კვლევაში მონაწილეობა მიიღო 200-მა რესპონდენტმა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე 150 რესპონდენტი საფეხურებრივი კლასტერული შერჩევის საფუძველზე შეირჩა ქ. თბილისისა და საქართველოს 10 რეგიონის საჯარო სკოლებიდან (30 სკოლა), ხოლო 50 – იმ პროფესიული სასწავლებლებიდან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ინკლუზიური განათლების მოდელის პროფესიული განათლების საფეხურზე პილოტირების პროცესში (10 პროფესიული სასწავლებელი).

საჯარო სკოლის შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა სკოლაში რეგისტრირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა. შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რესპონდენტთა სხვადასხვა რაოდენობა იქნა გამოკითხული. შემთხვევათა უმრავლესობაში ერთი საჯარო სკოლიდან კვლევაში მონაწილეობას ღებულობდა სკოლის ადმინისტრაციის (სკოლის დირექტორი ან სასწავლო ნაწილი) ერთი წარმომადგენელი, 2 მასწავლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის 1 მშობელი და ტიპური განვითარების მქონე მოსწავლის 1 მშობელი. სკოლების შერჩევა განხორციელდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისა და საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს მიერ მოწოდებული ბაზების საფუძველზე.

რეგიონების მიხედვით რესპონდენტების განაწილება წარმოდგენილია გრაფიკზე №1 და №2.

გრაფიკი N1: საჯარო სკოლებიდან რესპონდენტების განაწილება რეგიონების მიხედვით





### 3.3. მონაცემების დამუშავება

კითხვარი „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“ შევსებულ იქნა 10 ექსპერტის მიერ; რაოდენობრივი მაჩვენებლები ექსპერტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების მედიანას წარმოადგენს.

კითხვარის „ინდექსი ინკლუზიისთვის“ 200 მონაცემი (150 სკოლის და 50 პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენელი) ინტერვიუებმა შეიყვანეს კომპიუტერულ პროგრამა SPPS-ში და იმავე პროგრამაში სტატისტიკურად დაამუშავეს. გამოთვლილია სიხშირეები (წარმოდგენილია პროცენტებში) და კორელაციები (კროსტაბულაციების, ანუ, შეუღლებული ცხრილების სახით). შედეგებში წარმოდგენილია მხოლოდ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი მონაცემები (დადასტურებულია ხი კვადრატის მაჩვენებლების მნიშვნელოვნებით).



## 4.1 P2I – ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების კითხვარის „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“ მაჩვენებლები

როგორც უკვე აღინიშნა, კითხვარი „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“ ექსპერტული შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს ქვეყანაში ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესს საკანონმდებლო, პრაქტიკისა და სამომავლო განვითარების კატეგორიების მიხედვით. ასევე, აღნიშნული კითხვარის საშუალებით შესაძლებელია საქართველოსა და ევროპის 10 ქვეყნის (ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ფინეთი, სლოვენია, პორტუგალია, ირლანდია, გერმანია, უნგრეთი) შედარებითი ანალიზის გაკეთება ცალკეულ პუნქტებზე დაყრდნობით.

3 სფეროს მიხედვით საქართველო ევროპის 10 ქვეყანასთან მიმართებაში განსხვავებულ ადგილს იკავებს; კერძოდ, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი საკანონმდებლო ბაზის თვალსაზრისით საქართველო გერმანიის მსგავსად ნაწილობრივ მხარდამჭერთა რიცხვში მოხვდა. ქვეყანათა უმრავლესობის კანონმდებლობა უფრო მხარდამჭერია ინკლუზიური განათლების პროცესის, ვიდრე – არა. საუკეთესო საკანონმდებლო ბაზა ფინეთს, ავსტრიასა და საფრანგეთს აქვთ. ინკლუზიური განათლების პრაქტიკის თვალსაზრისით, საქართველოში უნგრეთის, ჰოლანდიის, გერმანიისა და სლოვენის მსგავსი სიტუაციაა – პრაქტიკის დონეზე გარკვეული ცვლილებები უკვე ხორციელდება, თუმცა არასაკმარისად. რაც შეეხება მომავალ პერსპექტივებს, წარსული და აწმყო მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანათა დიდი უმრავლესობა (გარდა საფრანგეთისა), სრული ინკლუზიის მიმართულებით განვითარების ნელ პროცესს აღწერს (იხ. ცხრილი №1).

**ცხრილი N1: საქართველოს ინკლუზიის ბარომეტრის მაჩვენებლები ევროკავშირის 10 ქვეყანასთან მიმართებაში**


H – უნგრეთი, N- ჰოლანდია, Fin –ფინეთი, G –გერმანია, B –ბელგია, A – ავსტრია, I – ირლანდია, P – პორტუგალია, F – საფრანგეთი, SI – სლოვენია, Geo – საქართველო.

		H	N	Fin	G	B	A	I	P	F	SI	Geo
A. საკანონმდებლო ბაზა	მხარდამჭერი			✓			✓			✓		
	უფრო მხარდამჭერი	✓	✓					✓	✓		✓	
	ნაწილობრივ მხარდამჭერი				✓							✓
	არა მხარდამჭერი					✓						
B. პრაქტიკა	სრულად ხორციელდება											
	უმეტესწილად ხორციელდება			✓		✓	✓	✓	✓	✓		
	ნაწილობრივ ხორციელდება	✓	✓		✓						✓	✓
	არ ხორციელდება											
C. განვითარება	ძალიან მნიშვნელოვანი											
	მნიშვნელოვანი									✓		
	ნელი	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓		✓	✓
	არა											

საქართველოში ინკლუზიური განათლება რეგულირდება განათლების კანონებითა (ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი განათლების შესახებ კანონები) და ნორმატიული დოკუმენტებით (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2013). აღნიშნული დოკუმენტებიდან შესაბამისი ცვლილებები მხოლოდ ზოგადი განათლების შესახებ კანონსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში არის შესული. შეიძლება ითქვას, რომ არსებული კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების უფლებას განათლების სხვადასხვა საფეხურზე. მსგავსი სიტუაციაა ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ბელგია, გერმანია, უნგრეთი და ჰოლანდია (<http://pathwaystoinclude.eu/project-information/wp-content/uploads/barometerreport.pdf>).


საგულისხმოა, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით საქართველოში არა მხოლოდ დაწყებითი, არამედ მთლიანად ზოგადი განათლებაა უფასო, რაც ზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების საჯარო და სპეციალური პროფილის სკოლებში სწავლების შესაძლებლობას. მხარდამჭერია ის ფაქტიც, რომ სასკოლო სახელმძღვანელოებიც უფასოა. ზოგადი განათლების კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, არცერთი ბავშვი არ არის შეზღუდული განათლების მიღებაში შესაძლებლობებისა და მიუხედავად (იხ. გრაფიკი 1).

გრაფიკი N1: უფასო ზოგადი განათლება ქვეყნების მიხედვით



ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მშობელი აქტიური მონაწილეა საკუთარი შვილის განათლების სივრცის (სპეციალური პროფილის სკოლა თუ საჯარო სკოლა) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების განსაზღვრის პროცესში. თუმცა აღნიშნული უფლების პრაქტიკული განხორციელება ხშირ შემთხვევაში არ ხდება, რაც ჩატარებულმა გამოკითხვამაც აჩვენა. ბარომეტრის კითხვარის მონაცემების თანახმად, მშობლების აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტის მიღების პროცესში ევროპის სხვა ქვეყნებშიც პრობლემას წარმოადგენს (გრაფიკი №2).

გრაფიკი N2: მშობლების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში



მნიშვნელოვანია, რომ ბარომეტრის კითხვარის მიხედვით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურა ორიენტირებულია ბავშვის ძლიერი მხარეების იდენტიფიკაციაზე და ინკლუზიური განათლების ფარგლებში სწავლების შესაძლებლობის მიცემაზე. თუმცა პრაქტიკული განხორციელების თვალსაზრისით ვლინდება შეფასების პროცედურების შემდგომი ადაპტაციისა და განვითარების საჭიროება. მხოლოდ ერთეული ინსტრუმენტებია ადაპტირებული, ისიც კონკრეტულ ასაკობრივ ჯგუფებში, რაც ვერ მოიცავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების შეფასების ყველა ასპექტს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი განათლების კანონის თანახმად ყველა ბავშვი უნდა უზრუნველყოფილი იყოს ზოგადი განათლების საცხოვრებელ სახლთან ახლომდებარე სკოლაში მიღებით, არ არსებობს სკოლების ფიზიკურ ადაპტაციასთან დაკავშირებით რაიმე კანონი ან ნორმატიული აქტი. აღნიშნული ამცირებს თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას. ასევე, არ არის განსაზღვრული საკლასო ოთახების ზომები და მათი ინდივიდუალური საჭიროებებისადმი მორგების შესაძლებლობა. შესაბამისად, პრაქტიკაშიც ვლინდება ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული შეზღუდვები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლები არჩევანს აკეთებენ იმ სკოლებზე, რომლებიც შესაბამისი რესურსებით მეთადაა უზრუნველყოფილი და არა საცხოვრებელ ადგილთან სიახლოვით.

ნორმატიული დოკუმენტებით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეები უნდა სწავლობდნენ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. აღნიშნული უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამის აკომოდაციას და ადაპტაციას. რეალურად, ადამიანური რესურსების (სპეციალური პედაგოგი, სკოლის ფსიქოლოგი) სიმწირის გამო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მხოლოდ ნაწილისთვის არის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მიმდინარეობს ამ გეგმის შესაბამისი სწავლება.

პრობლემას წარმოადგენს ადაპტური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა საჯარო სკოლებში. ამ ეტაპზე მათი გამოყენება უზრუნველყოფილია მხოლოდ სპეციალური პროფილის სკოლებში.

იგივე სიტუაციაა ფუნქციური დახმარებისა და ზრუნვის მიღების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული სერვისის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური პროფილის სკოლებში. ანალოგიურად, ბრაილისა და ჟესტური ენის, კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლება შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური პროფილის სკოლებში.

ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეთა შეფასების სტანდარტები და მათი საგანმანათლებლო მიღწევების საზომები. აღნიშნული ხელს უწყობს ინკლუზიურ განათლებას, თუმცა, დღემდე არ არის დაზუსტებული ზოგადი განათლების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმა, პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა და სხვა საკითხები.


საქართველოში მასწავლებლის პროფესია წარმოადგენს კანონით რეგულირებად პროფესიას. მასწავლებლის კომპეტენციები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, რომელიც ზოგადი და კერძო ნაწილისგან შედგება. ზოგად ნაწილში ხაზი ესმება ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და მასწავლებლების უნარს, ასწავლონ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს. 2014 წლიდან მასწავლებლად მუშაობის უფლება მხოლოდ ე.წ. სერტიფიცირებულ მასწავლებლებს ეძლევათ, რაც სასერტიფიკაციო გამოცდებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების გავლას მოითხოვს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში მასწავლებლთა ტრენინგები აუცილებლად ითვალისწინებს ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

უმაღლესი და პროფესიული განათლების შესახებ კანონები არადისკრიმინაციულია უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით, თუმცა არ უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის განათლების აღნიშნული დონეების თანაბარ ხელმისაწვდომობას. პროფესიული და უმაღლესი განათლების შესახებ კანონები არ კრძალავს და არ ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ჩართვას განათლების ამ დონეებზე.

რეალურად, პრობლემას წარმოადგენს მიღების პროცედურები, დაფინანსების (სკოლისშემდგომი განათლება ფასიანია) გზები, არსებულ დაწესებულებებში ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, სწავლების ადაპტაცია ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც, საბოლოო ჯამში, არათანაბარ ხელმისაწვდომობაზე მეტყველებს.

ყველაზე მნიშვნელოვან ბარიერს ინკლუზიური განათლების შემდგომი განვითარებისთვის წარმოადგენს მონიტორინგის სისტემის არარსებობა. განათლების სისტემის სხვადასხვა უწყებასა და სხვადასხვა დონეზე ხორციელდება სსსმ მოსწავლეებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება, თუმცა არ ხდება მონაცემების გაერთიანება და არა მხოლოდ თვისებრივი ანალიზია პრობლემური, არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლებიც კი არ არის ზუსტი. კერძოდ, არ არსებობს ზუსტი მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა შორის რამდენია შეზღუდული შესაძლებლობების პირის სტატუსის მქონე, როგორია მათი განაწილება განათლების სხვადასხვა საფეხურზე და ა.შ. ევროკავშირის 10 ქვეყნიდან მონიტორინგის განხორციელების ვალდებულება არ არსებობს მხოლოდ ბელგიასა და პორტუგალიაში; დანარჩენ ქვეყნებში სხვადასხვა საკანონმდებლო რეგულაციებით ფიქსირდება ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარების მონიტორინგის ვალდებულება (იხ. გრაფიკი №3).

**გრაფიკი №3: ვალდებულებები მონიტორინგთან დაკავშირებით**



ინკლუზიური განათლების პრაქტიკის ანალიზისას შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელი პრიორიტეტულია და მიმართულია ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი და არასეგრევირებული გარემოს შექმისკენ. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით 3543 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეა რეგისტრირებული, 471 სწავლობს სპეციალიზებული პროფილის საჯარო სკოლაში, ხოლო უმრავლესობა – ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლაში. აღნიშნული დადებითი ტენდენციის მაჩვენებელია 2012 წლის მონაცემებთან შედარებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განათლების სხვადასხვა საფეხურზე ინკლუზიურ განათლებაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა განსხვავებულია. სამწუხაროდ, როგორც უკვე აღინიშნა, ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანალიზი. კანონის თანახმად, საქართველოში ზოგადი განათლება და სასკოლო სახელმძღვანელოები უფასოა. შესაბამისად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის დაწყებითი განათლების მიღების შესაძლებლობა არ იზღუდება პირდაპირი ხარჯების არსებობის გამო. მსგავსი სიტუაციაა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრია, ფინეთი, გერმანია

ნია, ჰოლანდია და პორტუგალია. რაც შეეხება ირიბ ხარჯებს, დაკავშირებულს ისეთ საკითხებთან, როგორცაა ტრანსპორტირება, ასისტენტ-მასწავლებლები, კვება, უმეტესწილად ოჯახის გასაწევია და, ექსპერტთა მოსაზრებით, საკმაოდ მაღალია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა მშობლების აზრით, აღნიშნული ხარჯები ზოგიერთ შემთხვევაში მოქმედებს როგორც ბარიერი დაწყებითი განათლების მიღებისთვის. ირიბი ხარჯების თვალსაზრისით, ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობაში აღნიშნული ხარჯები დაბალია.

მიუხედავად ინკლუზიური განათლების მოდელის სახელმწიფო მხარდაჭერისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის თვითონ სკოლების ფიზიკური გარემო ქმნის ხშირად ბარიერს და ზღუდავს მათ საცხოვრებელ სახლთან ახლოს არსებული სკოლების ხელმისაწვდომობას. ახალაშენებული სკოლების გარდა (მათი რაოდენობა შეზღუდულია), ძველი სკოლების უმრავლესობას შეუძლია მხოლოდ პანდუსების უზრუნველყოფა. სხვა ისეთი აუცილებელი ადაპტაციები, როგორცაა ადაპტირებული ტუალეტი, სპეციალური ლიფტები, საკლასო ოთახის ზომები, განათება, საკლასო ოთახის აკუსტიკური მახასიათებლები, არ არის გათვალისწინებული.

დღესდღეობით ყველა საჯარო სკოლა, რომელშიც სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, უზრუნველყოფილია სპეციალური პედაგოგით ან სკოლის ფსიქოლოგით, თუმცა მათი რაოდენობა არასაკმარისია. შესაბამისად, ბავშვები ვერ იღებენ მათთვის საჭირო ოდენობის დახმარებასა და მხარდაჭერას.

ყველა სკოლაში, მიუხედავად პროფილისა, სწავლება მიმდინარეობს ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით. შესაბამისად, ყველა მოსწავლე, მიუხედავად საგანმანათლებლო საჭიროებების ქონა-არქონისა, სწავლობს ერთი და იმავე კურიკულუმის მიხედვით. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით შესაძლებელია ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შედგენა. გეგმაში გათვალისწინებულია, თუ რა შედეგებზე უნდა გავიდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე წლის ბოლოს, სწავლებისა და შეფასების რა მეთოდები უნდა გამოიყენებოდეს და ა.შ.


ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლება მხოლოდ სენსორული დეფიციტის (მხედველობა, სმენა) მქონე მოსწავლეებისთვის სპეციალიზებული პროფილის სკოლებშია შესაძლებელი. რაც შეეხება კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტური და ალტერნატიული ფორმების სწავლებას, აღნიშნული სპეციალიზებული პროფილის სკოლებისთვისაც ახალი ტიპის მომსახურებას წარმოადგენს და ჯერჯერობით პილოტირების ფაზაზეა. დეფიციტურია შესაბამისი მომზადების მქონე მასწავლებლები.

შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში ინკლუზიური განათლების განვითარება არ დგას ერთ ადგილას, რაზეც საქართველოს მონაცემების სხვა ქვეყნების მონაცემებთან შედარებაც მეტყველებს. 2006 წლიდან საქართველოში თანდათანობით შეიცვალა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ეს ცვლილება დღემდე გრძელდება. 2011 წელს ცვლილება შევიდა ზოგადი განათლების შესახებ კანონში, 2013 წელს მუშაობა დაიწყო პროფესიული განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე. საქართველომ ხელი მოაწერა სალამანკას დეკლარაციას და 2013 წლის ბოლოსთვის იგეგმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებების კონვენციის“ რატიფიკაცია.

2009 – 2012 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურებმა და ინსტრუმენტებმა.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლების ეროვნული მოდელი ხაზს უსვამს ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებასა და ინკლუზიური განათლების უპირატესობას სწავლების სხვა მოდელებთან შედარებით. შეიძლება ითქვას, რომ ამ მახასიათებლით საქართველო ევროკავშირის ქვეყნების უმრავლესობის მსგავს მდგომარეობაშია (იხ. გრაფიკი №4).





2013-2016 წლების განათლების სამოქმედო გეგმის, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, თუ სკოლაში ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, სახელმწიფო და/ან სკოლა ვალდებულია უზრუნველყოს სულ მცირე, ერთი სპეციალური პედაგოგი ან ერთი სკოლის ფსიქოლოგი და სასწავლო მასალებით აღჭურვილი რესურს ოთახი.

2009 წლიდან დღემდე მნიშვნელოვნად შეიცვალა სპეციალური პროფილის სკოლებში ადაპტური ტექნოლოგიების გამოყენების პრაქტიკა. ყრუ და სმენის დარღვევების მქონე მოსწავლეთა სკოლაში მოხდა შესტური ენის გამოყენების ხელშეწყობა, ბრმა და სუსტადმხედველ მოსწავლეთა სპეციალურ სკოლაში იწყება ორიენტაციის აუგმენტური და ალტერნატიული ტექნოლოგიების სწავლება. მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უზრუნველყოფა აუცილებელი ადაპტური ტექნოლოგიებით და ამ ტექნოლოგიების მცოდნე სპეციალისტებით.

შეიძლება ითქვას, რომ სკოლები და მასწავლებლები უფრო და უფრო მიმართავენ ინკლუზიური განათლების მოდელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სწავლებაში, რაც გამოიხატება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენებასა და შეფასების ფორმების აკომოდაციაში მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებისადმი.

2006 წლიდან მასწავლებელთა მომზადება უფრო ორიენტირებული ხდება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაზე. თუ წინა წლებში (2006 – 2010) ტრენინგების შინაარსი ცნობიერების ამაღლებასა და დამოკიდებულებების ცვლილებას ისახავდა მიზნად, უკანასკნელ წლებში მასწავლებელთა მომზადებაში გამოიკვეთა კონკრეტული საჭიროებები და შესაბამისად, ტრენინგების შინაარსიც უფრო კონკრეტული გახდა, მაგალითად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლების სტრატეგიები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა და გამოყენება და ა.შ.

2013 წლის თებერვლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროფესიული განათლების დონეზე ინკლუზიური განათლების მოდელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა. 10 პროფესიული კოლეჯი 51 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტით მონაწილეობას იღებს ინკლუზიური განათლების მოდელის პილოტირებაში განათლების ამ საფეხურზე.

საქართველოს მთავრობა ექსპლიციტურად მხარს უჭერს ინკლუზიურ განათლებას და არსებული საკანონმდებლო ცვლილებები თუ სამომავლოდ განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების გეგმები ამის ნათელი დასტურია. ამ ეტაპზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა

სამინისტროსთან ერთად გეგმავს განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას განათლების მეორე შესაძლებლობის მოდელის ფარგლებში.

2014 წლისთვის მოსალოდნელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა სპეციალური პროფილის სკოლებში, რაც, ნაწილობრივ განპირობებულია სპეციალური პროფილის სკოლების გაძლიერებით სპეციალიზებული სერვისების მიწოდების თვალსაზრისით (ბრაილი და ჟესტური ენა, კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტური და ალტერნატიული ფორმები, ფუნქციური დახმარებისა და ზრუნვის უზრუნველყოფა), მაგრამ, მეორე მხრივ, შედეგია საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, როდესაც მძიმე და მრავლობითი დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები აღარ რჩებიან სახლში ან დღის ცენტრებში, არამედ მიდიან სკოლაში.

## 4.2. კითხვარის „ინდექსი ინკლუზიისთვის“ შედეგები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საპილოტე შეფასების შედეგად კითხვარის „ინდექსი ინკლუზიისთვის“ ქართულ ვერსიაში დარჩა 283 კითხვა, რომლებსაც პასუხის 4 ვარიანტი აქვთ: სრულებით ვეთანხმები, ნაწილობრივ ვეთანხმები, არ ვეთანხმები, არ ვიცი. აღნიშნული დახურვები საშუალებას იძლევა განისაზღვროს როგორც რესპონდენტის დამოკიდებულება, ასევე მის მიერ ინფორმაციის ფლობა (დახურვა „არ ვიცი“).


სულ კითხვარი შედგება 6 ნაწილისგან. თითოეული ნაწილი ინკლუზიური განათლების ერთ ასპექტს აშუქებს, კერძოდ ინკლუზიურ გარემოს, ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბებას, სასკოლო გარემოს განვითარებას, განსხვავებულობის მხარდაჭერა, თამაშისა და სწავლის წარმართვასა და რესურსების მობილიზებას. მონაცემებს ამ 6 ნაწილის მიხედვით წარმოვადგენთ ცალკე პროფესიული სასწავლებლებისათვის და ცალკე სკოლებისათვის:

## პროფესიული სასწავლებლები

### 1. ინკლუზიური გარემო

კვლევის შედეგების თანახმად, პროფესიულ სასწავლებლებში გარემო ყველა სტუდენტის მიმართ კეთილგანწყობილი და მეგობრულია. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა – 91.8% თანხმდება, რომ სასწავლებლის გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. ასევე, უმრავლესობა – 91.8% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ გარემო კეთილგანწყობილია ყველა სტუდენტის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მიმართ. ასევე, 85.7% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ აქვთ შესაძლებლობა ითხოვონ დახმარება, ან დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ, ამ თვალსაზრისით ისინი არ არიან შეზღუდულნი (იხ.გრაფიკი №5).

გრაფიკი N5: პროფესიული სასწავლებლის გარემო



გამოკითხვიდან ასევე გამოჩნდა, რომ პროფესიული სასწავლებლის გარემო კომფორტულია მასწავლებლების, მშობლების, სამეურვეო საბჭოს და თემის სხვა წევრებისთვისაც. კერძოდ, გამოკითხულთა 75% თვლის, რომ სასწავლო გარემო მათ ეკუთვნის.

რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებელში წარმოქმნილ პრობლემებს, მასწავლებელთა უმრავლესობას შეუძლია თავისუფლად განიხილოს წარმოქმნილი პრობლემები, გამოკითხულთა 81.6%-მა იცის, ვის უნდა მიმართოს პრობლემების მოგვარებისთვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის. კერძოდ, გამოკითხულთა 77.1% თანხმდება, რომ პროფესიულ სასწავლებელში მიმდინარე აქტივობები და სტრატეგიები ყველა მშობლისთვის/მეურვისთვის არის ცნობილი; ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტთა 66% ამბობს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის თანაბრად, განურჩევლად მათი ენის, ან შეზღუდული შესაძლებლობებისა.

კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა კეთილგანწყობილია. გამოკითხულთა 83.3% ამბობს, რომ მასწავლებლები და მშობლები/მეურვეები ერთმანეთს პატივს სცემენ, ასევე მშობლები გრძნობენ, რომ მათ ინტერესებს სერიოზულად უდგებიან - 60.4%.

მეორე მხრივ, გამოკითხულთა მხოლოდ 18.8% ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლები იღებენ შესაბამის ზომებს, საჭიროების შემთხვევაში ზოგი მშობლისთვის მათთან შეხვედრის შიშის დასაძლევად.


გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი - 37% თანხმდება იმაზე, რომ სტუდენტები აღიარებენ მათგან განსხვავებული სტუდენტების მიღწევებს და ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციული, ან დამამცირებელი სახელების გამოყენებას - 68.1%. მასწავლებლებს შორის უმცირესობებისადმი თანასწორი დამოკიდებულების არსებობას ეთანხმება გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა.

რაც შეეხება პროფესიული სასწავლებლის ცხოვრებაში თემის ჩართულობის საკითხს, გამოკითხულ რესპონდენტთა 34% თანხმდება, რომ ადგილობრივი თემის ყველა წარმომადგენელი არის ჩართული სასწავლებლის აქტივობებში, ხოლო 37.8% კი ეთანხმება, რომ პროფესიული სასწავლებელი ჩართულია თემის ცხოვრებაში. თუმცა, დაახლოებით, 20%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, გამოკითხულთა 21.7%-მა არ იცის, რამდენად ასახავს პროფესიული სასწავლებლის სამეურვეო საბჭოს/ადმინისტრაციის შემადგენლობა ადგილობრივ მოსახლეობას/თემებს.

## 2. ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბება

კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ პროფესიული სასწავლებლის გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. გამოკითხულთა 68.9% ღიაა ადგილობრივი თემის სტუდენტების მიღებისთვის, განურჩევლად მათი წარმომავლობის, მიღწევების და შესაძლებლობებისა. ამასთან, 46.8% თანხმდება, რომ დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებულობის მიმართ შეუწყნარებლობაშია და 66.7% თვლის, რომ მასწავლებლები პატივს სცემენ სტუდენტების იდენტობების და კულტურების მრავალფეროვნებას, მათ შორის, მრავალეთნიკური წარმომავლობის მქონეთ.

საინტერესოა, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 28.9% ეთანხმება მოსაზრებას, რომ პროფესიულ სასწავლებელში განსხვავებულობის პატივისცემა უფრო მეტად ხდება, ვიდრე „ნორმისადმი“ შესაბამისობის ხაზგასმა, ხოლო 20%-ს არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხზე. ამასთან, მასწავლებლების 41.3% თვლის, რომ განსხვავებულობა განიხილება, როგორც მდიდარი რესურსი სხვადასხვა აქტივობის შესრულებისას და არა როგორც პრობლემა, ხოლო, გამოკითხულთა 17.4%-მა არ იცის, რა დამოკიდებულება არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით სასწავლებელში (იხ. გრაფიკი №6).



გამოკითხულთა მხოლოდ 29.8% თვლის, რომ ენის სხვადასხვაგვარობა, კუთხური აქცენტები და დიალექტები განიხილება, როგორც სარგებლის მომტანი სასწავლებლისა და ფართო საზოგადოებისათვის. გეი და ლესბოსელი ადამიანები სასკოლო გარემოში დაფასებული და აღიარებულია, როგორც მრავალფეროვნების ნაწილი, გამოკითხულთა მხოლოდ 8.3%-ის აზრით. გამოკითხულთა 43.8% ამბობს, რომ არ იცის პროფესიულ სასწავლებელში არსებული დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ სსმ ჯგუფებისადმი არსებულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად. კერძოდ, მასწავლებლების ნაწილი ერიდება ტერმინ „უნარის“ გამოყენებას სტუდენტების ცოდნისა და კომპეტენციის აღსაწერად – 44.7%; სტუდენტების მიღწევებს აფასებს მათ საკუთარ შესაძლებლობებთან მიმართებაში და არა სხვების მიღწევებთან – 81.3%; ასევე, ეწინააღმდეგება დაბალი მიღწევის გამომხატველი დამამცირებელი იარაღების გამოყენებას – 77.6%.

რაც შეეხება მასწავლებელსა და სტუდენტებს შორის ურთიერთობას, მშობლების 79.6% ამბობს, რომ ყველას აქვს მასწავლებლებთან რეგულარული ურთიერთობის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, მშობლების 61.2% ეთანხმება დებულებას: ყველა სტუდენტი გრძნობს, რომ ის მასწავლებლებს მოსწონთ.

### 3. სასწავლო გარემოს განვითარება

გამოკითხულთა 58.3% ამბობს, რომ მასწავლებელთა შორის სრულად არის წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობა: ქალი და მამაკაცი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური და კლასობრივი წარმომავლობის ადამიანები. აღსანიშნავია, რომ 16.7%-ს არ აქვს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. დაახლოებით ამდენივემ – 20.8%-მა არ იცის, ითვალისწინებენ თუ არა მასწავლებელთა კვალიფიკაციას და გენდერულ ბალანსს დაწინაურებისას. მხოლოდ 13.3% იზიარებს მოსაზრებას, რომ თემის ცალკეულ ჯგუფებს ენიჭება უპირატესობა მაღალი სტატუსის თანამდებობის დასაკავებლად. ამ შემთხვევაში, გამოკითხულთა 24.4% ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, რესპონდენტთა 37.8%-მა არ იცის, ბავშვებს შორის განსხვავებულობის აღიარება წარმოადგენს თუ არა მასწავლებელთა დანიშვნისთვის არსებით კრიტერიუმს.

როგორც აღმოჩნდა, პროფესიული სასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ ახალი თანამშრომლის მიღებისას და სხვადასხვა გზით ცდილობენ დაეხმარონ მას სასკოლო გარემოსთან ადაპტირებაში. კერძოდ, ახალი მასწავლებლის მიღებისას, სასწავლებელს აქვს შემუშავებული გარემოს გაცნობის და მხარდაჭერის შეთანხმებული სტრატეგია – 68.1%. თუმცა, გამოკითხულთა 14.9%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით. მასწავლებლები ცდილობენ ახალ თანამშრომელს თავი უცხოდ არ აგრძნობინონ – 57.1%, საჭიროებისამებრ აწვდიან დამატებით ინფორმაციას – 71.4%.

რაც შეეხება სტუდენტისთვის პროფესიულ სასწავლებელში მიღების და გაცნობის სტრატეგიებს, გამოკითხულთა 61.7% ამბობს, რომ სასწავლებლები ზრუნავენ სწავლის დაწყებამდე სტუდენტებისთვის სასწავლებლის გარემოს გაცნობა-დათვალიერებაზე; ასევე, ახალ სტუდენტებს აწყვილებენ გამოცდილ სტუდენტებთან, როცა ისინი პირველად მოდიან სასწავლებელში – 44.4%; რამდენიმე კვირის შემდეგ ამოწმებენ, რამდენად კარგად გრძნობს სტუდენტი თავს ახალ გარემოში – 73.3%; როცა სტუდენტებს უწევთ ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლა, ორივე სასწავლებლის პედაგოგები თანამშრომლობენ ამ ცვლილების გასაადვილებლად – 33.3%. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 35.6% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ასევე, გამოკითხულთა ყველაზე დიდმა წილმა – 40.9%-მა არ იცის, ეხმარებიან თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს ახალ სასწავლო გარემოსთან შეგუებაში.

კვლევის შედეგებიდან ასევე გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ თემის ყველა სტუდენტი შეძლებისდაგვარად ჩართონ სასწავლო პროცესში. კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა 83% თვლის, რომ მასწავლებლები ყველას მოუწოდებენ შეუერთდეს კოლეჯის გარემოს, განურჩევლად მისი მიღწევებისა და შეზღუდული შესაძლებლობებისა; ასევე, ცდილობენ დაძლიონ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების წინაშე არსებული ბარიერები – 75%; აქტიურად მოუწოდებენ სოციალურად დაუცველ სტუდენტებს პროფესიულ სასწავლებელში სწავლისკენ – 66%.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, 63.8% ეთანხმება, რომ შშმ პირებისთვის პროფესიულ სასწავლებელში სწავლა მეტი პირობის დაკმაყოფილებას მოითხოვს, სხვებთან შედარებით. მხოლოდ 41.9% ამბობს, რომ შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები. გამოკითხულთა 23.3%-მა არ იცის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ.

#### 4. განსხვავებულობის მხარდაჭერა

გამოკითხულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ყველა მასწავლებლის პასუხისმგებლობად ითვლება იმ ბარიერების დაძლევაში მხარდაჭერა, რაც ექმნებათ სტუდენტებს თავისუფალი დროის გატარების ან სწავლის დროს – 76.6%.

მშობლების 11.4% და მასწავლებლების 22.7% ფიქრობს, რომ არსებობს გეგმა იმისა, თუ როგორ შეუძლიათ გარე სერვისებს ინკლუზიური კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა; გამოკითხულთა ყველაზე მაღალი წილი – 34.1% ამბობს, რომ არ იცის ამ გეგმის არსებობის შესახებ. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ არ ეხება ეს საკითხი, არასწორი ინფორმაცია აქვს. ასევე, გამოკითხულთა 46.8% თვლის, რომ მასწავლებლებმა იციან ყველა ამ გარე სერვისის შესახებ. 48.9% თვლის, რომ ჯანდაცვის, სოციალური სერვისების და განათლების სფეროს წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანამშრომლობენ. თუმცა, 25.5%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

მშობლების 64.3% თვლის, რომ პროფესიულ სასწავლებელში აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია განსხვავებული წარმომავლობის, გამოცდილების, მიღწევების, ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე სტუდენტების მონაწილეობა. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების“ პოლიტიკა მიმართულია თავისუფალი დროის ორგანიზებასა და სწავლის განვითარებაზე ყველასთვის და ამავედროულად გარიყვის მინიმუმამდე დაყვანაზე – 66.7%.


გამოკითხულთა 22.7% თვლის, რომ სსსმ სტატუსის მქონე სტუდენტები განიხილებიან, როგორც განსხვავებული ინტერესების, ცოდნის და კომპეტენციების მქონე, არაჰომოგენური ჯგუფი. თუმცა, 18.2%-მა საერთოდ არ იცის, რა დამოკიდებულებაა პროფესიულ სასწავლებლებში ამ საკითხის მიმართ.

საინტერესოა ასევე სსსმ სტუდენტთა მშობლების მოლოდინები, თუ როგორ ეპყრობიან მათ



შვილებს თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე. კვლევამ აჩვენა, რომ სსსმ სტუდენტთა მშობლების მხოლოდ 36.4% თვლის, რომ მათ შვილს ნაკლები მზრუნველობით არ მოეპყრობიან სსსმ სტატუსის გამო, მაშინ, როდესაც იგივე აზრს იზიარებს ტიპური განვითარების მქონე სტუდენტების მშობლების – 42.9%, მასწავლებლების – 69.2% და ადმინისტრაციის წარმომადგენლების – 85.7%; ჯგუფებს შორის განსხვავება მაღალია, თუმცა, ეს განსხვავებები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (იხ.გრაფიკი № 7).

**გრაფიკი N7: სტუდენტისადმი მოპყრობა**



75.6% მიიჩნევს, რომ პროფესიული სასწავლებლის გარემოს წესები მინიმალური და ყველა საათის გასაგებია, თუმცა, ნაკლები – 37.8% ამბობს, რომ წესების შემუშავებაში სტუდენტები და მათი მშობლებიც/მეურვეებიც მონაწილეობენ. 37.8%-მა არ იცის, არსებობს თუ არა მკაფიო და ერთიანი ხედვა დისციპლინასა და გარიცხვასთან დაკავშირებით.


გამოკითხულთა 51.1% თანხმდება, რომ მასწავლებლებს, მშობლებს/მეურვეებს, სამეურვეო საბჭოს და სტუდენტებს აქვთ ერთნაირი ხედვა იმის შესახებ, თუ რა ითვლება დამცირებად. 26.1% ეთანხმება დებულებას, რომ არსებობს დოკუმენტი დამცირების შესახებ, რომელიც დეტალურად აღწერს, რომელი ქცევა არის მისაღები და რომელი – მიუღებელი, თუმცა, 58.7% არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით; ასევე, 34.8%-მა არ იცის, ხდება თუ არა დამცირების შემთხვევების აღრიცხვა. 50% ამბობს, რომ სტუდენტები ჩართულები არიან დამცირების აღმკვეთი და მინიმუმამდე დაყვანის რეგულაციების შექმნაში. 72.3% ამბობს, რომ სტუდენტებისთვის ცნობილია, ვის უნდა მიმართონ, თუ დამცირებას განიცდიან.

## 5. თავისუფალი დროისა და სწავლის წარმართვა

გამოკითხულთა 80.9% თვლის, რომ აქტივობები იგეგმება ყველა სტუდენტის სწავლის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, მეორე მხრივ, კვლევამ აჩვენა, რომ დაგეგმილი აქტივობები ნაკლებად ითვალისწინებენ სსსმ სტუდენტების საჭიროებებს და ინტერესებს. კერძოდ, სსსმ სტუდენტთა მშობლების მხოლოდ 9.1% თვლის, რომ მასწავლებლები თავს არიდებენ ჯგუფების ორგანიზებას მიღწევის დონის, ე.წ. „უნარების“ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით, მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების 28.6% იზიარებს ამ დებულებას (მარგინალურად მნიშვნელოვანი sig=.072). ამასთან, სსსმ სტუდენტთა მშობლების მხოლოდ 27.3% და ტიპური განვითარების მქონე სტუდენტების მშობლების 83.3% თვლის, რომ აქტივობები ასახავენ ყველა სტუდენტის ინტერესებს, გამოცდილებას და კომპეტენციებს, მათი მიღწევების, ენის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, კლასის, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურისა და

რელიგიური მრწამსის განურჩევლად (მარგინალურად მნიშვნელოვანია sig=.067). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 34.9%-მა არ იცის მასწავლებლების სტრატეგია ჯგუფების ორგანიზებასთან დაკავშირებით, კერძოდ, არ იციან, ცვლიან თუ არა მასწავლებლები ჯგუფების შემადგენლობას პერიოდულად, სოციალური ერთობის შესაქმნელად (იხ.გრაფიკი №8).

გრაფიკი №8: სასწავლო პროცესი



როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, პროფესიული სასწავლებლების მცირე ნაწილში არიან თარჯიმნები სმენის დაქვეითების მქონე სტუდენტების, ან უცხოენოვანი სტუდენტებისთვის - 26.7%. გამოკითხულთა 35.6%-ს არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხზე. ამასთან, მხოლოდ 26.7% ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლები იყენებენ ჟესტურ ენას, ხოლო 46.7% ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლები იყენებენ სახის გამომეტყველებას და სხეულის ენას როგორც ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიულ გზას. გამოკითხულთა 20%-მა არ იცის, მიმართავენ თუ არა მასწავლებლები აღნიშნულ ხერხს გაკვეთილის პროცესში. საინტერესოა ის, რომ რესპონდენტთა 28.9%-მა არ იცის, ჰყავთ თუ არა მასწავლებლებს დამხმარე ასისტენტები და მონაწილეობენ თუ არა ისინი სტუდენტების აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში - 25%.

რესპონდენტთა 82.6% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ყველა სტუდენტს ანიჭებს სიამოვნებას და ახალისებს სწავლის სურვილს. 62.2% ეთანხმება, რომ მასწავლებლები იყენებენ ალტერნატიულ გზებს, რომლითაც შშმ სტუდენტებს გარკვეულ აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობას მისცემენ.

გამოკითხულთა 54.5% ეთანხმება, რომ აქტივობები ავითარებენ განსხვავებული წარმომავლობის, კულტურის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიისადმი ტოლერანტობას. 67.4% კი ამბობს, რომ მასწავლებლები ერიდებიან კლასობრივი, რასისტული, სექსისტური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციული შენიშვნების გაკეთებას. ასევე, მასწავლებლები ერიდებიან სტუდენტების შესახებ მსჯელობისას და წერისას ცნება „უნარის“ გამოყენებას - 54.5%.

გამოკითხულთა 66.7% თვლის, რომ მასწავლებლები ეწინააღმდეგებიან შშმ ადამიანების შესახებ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. თუმცა, მხოლოდ 23.3% ამბობს, რომ წიგნები, ნახატები, სათამაშოები, თოჯინები ასახავენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არა სტერეოტიპულად და ყოველდღიურ სიტუაციებში. გამოკითხულთა 39.5%-ს კი არ აქვს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებში სტუდენტების ჩართვას, გამოჩნდა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ნაკლებად ითვალისწინებს სსსმ სტუდენტების საჭიროებებს. ტიპური განვითარების მქონე სტუდენტთა მშობლების 68.2% თვლის, რომ სპორტულ აქტივობებში ყველას შეუძლია ჩართვა, განურჩევლად კომპეტენციისა და შეზღუდული შესაძლებლობებისა.

## 6. რესურსების მობილიზება


ზოგადად მიიჩნევა, რომ პროფესიულ სასწავლებლებში გარემო მოწესრიგებული და კომფორტულია – 91.3%. ამასთან, 77.8% თვლის, რომ მასწავლებლებმა იციან, რა რესურსები არის განკუთვნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად. თუმცა, 34.8%-მა არ იცის, რა ფინანსური რესურსი აქვს პროფესიულ სასწავლებელს და როგორ ნაწილდება ის. გამოკითხულთა 38.6% ამბობს, რომ პროფესიულ კოლეჯში არსებობს შშმ სტუდენტისთვის საჭირო ადაპტირებული მასალები (დიდი შრიფტით, ან ბრაილის შრიფტით ნაწერი მასალები, აუდიოჩანაწერები).

## საჯარო სკოლები

### 1. ინკლუზიური გარემო

კვლევის შედეგების თანახმად, სასკოლო გარემო ყველა ბავშვის მიმართ არის კეთილგანწყობილი და მეგობრული. გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა – 91% თანხმდება, რომ სასკოლო გარემოსთან პირველი კონტაქტი არის მეგობრული და თბილი. ასევე, უმრავლესობა – 88.5% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია ყველა ბავშვის მიმართ, თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდეთ. ასევე, 84.3% თვლის, რომ საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ითხოვონ დახმარება, ან დაეხმარონ ერთმანეთს, ანუ ამ თვალსაზრისით ბავშვები არ არიან შეზღუდულნი (იხ. გრაფიკი №9).

გრაფიკი N9: სასწავლო გარემო



გამოკითხვიდან ასევე გამოჩნდა, რომ სასკოლო გარემო კომფორტულია მასწავლებლების, მშობლების, სამეურვეო საბჭოს და თემის სხვა წევრებისთვისაც. კერძოდ, გამოკითხულთა 78.4% მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემო მათ ეკუთვნის.

რაც შეეხება სკოლაში წარმოქმნილ პრობლემებს, მასწავლებელთა უმრავლესობას შეუძლია თავისუფლად განიხილოს წარმოქმნილი პრობლემები, გამოკითხულთა 78.6%-მა იცის, ვის უნდა მიმართოს პრობლემების მოგვარებისთვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე ჩანს, რომ ინფორმაცია მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომია ყველასთვის. კერძოდ, გამოკითხულთა 71.7% თანხმდება, რომ სკოლაში მიმდინარე აქტივობები და სასკოლო სტრატეგიები ყველა მშობლისთვის/მეურვეისთვის არის ცნობილი; ამასთან, გამოკითხულ რესპონდენტთა 67% ამბობს, რომ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასთვის თანაბრად, განურჩევლად მათი ენის, ან შეზღუდული შესაძლებლობებისა.

კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ურთიერთობა

კეთილგანწყობილია. გამოკითხულთა 80.9% ამბობს, რომ მასწავლებლები და მშობლები/მეურვეები ერთმანეთს პატივს სცემენ, ასევე მშობლები გრძნობენ, რომ მათ ინტერესებს სერიოზულად ეკიდებიან – 68%.

მეორე მხრივ, გამოკითხულთა მხოლოდ 40.7% ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლები იღებენ შესაბამის ზომებს, საჭიროების შემთხვევაში ზოგი მშობლისთვის მათთან შეხვედრის შიშის დასაძლევად. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა სკოლების და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლების მოსაზრებებს შორის.

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი – 54.1% თანხმდება იმაზე, რომ ბავშვები აღიარებენ მათგან განსხვავებული ბავშვების მიღწევებს და ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციულ, ან დამამცირებელი სახელების გამოყენებას – 68.5%. მასწავლებლებს შორის უმცირესობებისადმი თანასწორი დამოკიდებულების არსებობას ეთანხმება გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა.


რაც შეეხება სასკოლო ცხოვრებაში თემის ჩართულობის საკითხს, გამოკითხულ რესპონდენტთა 33% თანხმდება, რომ ადგილობრივი თემის ყველა წარმომადგენელი არის ჩართული სასკოლო აქტივობებში, ხოლო 45.9% კი ეთანხმება, რომ სკოლა ჩართულია თემის ცხოვრებაში. თუმცა, დაახლოებით, 19%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ამასთან, გამოკითხულთა 18.3%-მა არ იცის, რამდენად ასახავს სკოლის სამეურვეო საბჭოს/ადმინისტრაციის შემადგენლობა სკოლის ადგილობრივ თემებს.

## 2. ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბება

კვლევის შედეგებიდან გამოჩნდა, რომ სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მიმართ. გამოკითხულთა 72.3% ღიაა ადგილობრივი თემის ბავშვების მიღებისთვის, განურჩევლად მათი წარმომავლობის, მიღწევების და შესაძლებლობების შეზღუდვისა. ამასთან, 55.1% თანხმდება, რომ დისკრიმინაციის საფუძველი განსხვავებულობის მიმართ შეუწყნარებლობაა და 64.8% თვლის, რომ მასწავლებლები პატივს სცემენ ბავშვების იდენტობების და კულტურების მრავალფეროვნებას, მათ შორის, მრავალეთნიკური წარმომავლობის მქონეთ.

საინტერესოა ის, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა მხოლოდ 28.3% ეთანხმება მოსაზრებას, რომ სკოლაში განსხვავებულობის პატივისცემა უფრო მეტად ხდება, ვიდრე „ნორმისადმი“ შესაბამისობის ხაზგასმა, ხოლო 20.4%-ს არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხზე. ამასთან, მასწავლებლების 48.1% თვლის, რომ განსხვავებულობა განიხილება, როგორც მდიდარი რესურსი სხვადასხვა აქტივობების შესრულებისას და არა როგორც პრობლემა, ხოლო, გამოკითხულთა 15.9%-მა არ იცის, რა დამოკიდებულება არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით სკოლაში (იხ.გრაფიკი №10).

გრაფიკი N10: ინკლუზიური ღირებულებები



მხოლოდ 32.7% თვლის, რომ ენის სხვადასხვაგვარობა, კუთხური აქცენტები და დიალექტები განიხილება, როგორც სარგებლის მომტანი სკოლისა და ფართო საზოგადოებისათვის. გეი და ლესბოსელი ადამიანები სასკოლო გარემოში დაფასებული და აღიარებულია, როგორც მრავალფეროვნების ნაწილი, გამოკითხულთა მხოლოდ 4.5% –ს აზრით. გამოკითხულთა 41.9% ამბობს, რომ არ იცის სკოლაში არსებული დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

მასწავლებლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ სსსმ ჯგუფებისადმი არსებულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად. კერძოდ, მასწავლებლების ნაწილი ერიდება ტერმინ „უნარის“ გამოყენებას ბავშვების ცოდნისა და კომპეტენციის აღსაწერად – 45.2%; ბავშვების მიღწევებს აფასებს მათ საკუთარ შესაძლებლობებთან მიმართებაში და არა სხვების მიღწევებთან – 81.4%; ასევე, ეწინააღმდეგება დაბალი მიღწევის გამომხატველი დამამცირებელი იარაღების გამოყენებას – 75.5%.

რაც შეეხება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობას, მშობლების 64.6% ამბობს, რომ ყველა ბავშვს აქვს მასწავლებლებთან რეგულარული ურთიერთობის შესაძლებლობა. მეორე მხრივ, მშობლების 59.6% ეთანხმება დებულებას, რომ ყველა ბავშვი გრძნობს, რომ ის მასწავლებლებს მოსწონთ.

### 3. სასკოლო გარემოს განვითარება

გამოკითხულთა 53% ამბობს, რომ მასწავლებელთა შორის სრულად არის წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობა: ქალი და მამაკაცი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სხვადასხვა ასაკის, ეთნიკური და კლასობრივი წარმომავლობის ადამიანები. აღსანიშნავია, რომ 18.7%-ს არ აქვს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით. დაახლოებით ამდენივე პროცენტმა – 18.9% არ იცის, დაწინაურებისას ითვალისწინებენ თუ არა მასწავლებელთა კვალიფიკაციას და გენდერულ ბალანსს. მხოლოდ 10.8% იზიარებს მოსაზრებას, რომ თემის ცალკეულ ჯგუფებს ენიჭება უპირატესობა მაღალი სტატუსის თანამდებობის დასაკავებლად. ამ შემთხვევაში, გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილი – 35.4% ამბობს, რომ არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, რესპონდენტთა 40.5%-მა არ იცის, ბავშვებს შორის განსხვავებულობის აღიარება წარმოადგენს თუ არა მასწავლებელთა დანიშვნისთვის არსებით კრიტერიუმს.

როგორც აღმოჩნდა, სკოლები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ ახალი თანამშრომლის მიღებისას და სხვადასხვა გზით ცდილობენ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციაში დახმარებას. კერძოდ, ახალი მასწავლებლის მიღებისას, სკოლას აქვს შემუშავებული სასკოლო გარემოს გაცნობის და მხარდაჭერის შეთანხმებული სტრატეგია – 64.6%. თუმცა, გამოკითხულთა 17.7%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ სტრატეგიასთან დაკავშირებით. მასწავლებლები ცდილობენ ახალ თანამშრომელს თავი უცხოოდ არ აგრძნობინონ – 46%, საჭიროებისამებრ აწვდიან დამატებით ინფორმაციას – 66.7%.

რაც შეეხება ბავშვის სკოლაში მიღების და მისთვის სკოლის გაცნობის სტრატეგიებს, გამოკითხულთა 60.1% ამბობს, რომ სკოლები იღებენ ზომებს, რომ ბავშვმა კარგად გაიცნოს სკოლა, სანამ სიარულს დაიწყებს; ასევე, ახალ ბავშვებს აწყვილებენ გამოცდილ ბავშვებთან, როცა ისინი პირველად მოდიან სკოლაში – 55.2%; რამდენიმე კვირის შემდეგ ამოწმებენ, რამდენად კარგად გრძნობს ბავშვი თავს ახალ გარემოში – 67.9%; როცა ბავშვებს უწევთ ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლა, ორივე სკოლის მასწავლებლები თანამშრომლობენ ამ ცვლილების გასაადვილებლად – 27.6%. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 22.4% საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას ამ თანამშრომლობასთან დაკავშირებით. ასევე, გამოკითხულთა ყველაზე დიდი წილი – 32.1%-მა არ იცის, სკოლაში გადასვლამდე ამზადებენ თუ არა ბავშვებს ახალი სასკოლო გარემოსთვის.

კვლევის შედეგებიდან ასევე გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ცდილობენ თემის ყველა ბავშვი შეძლებისდაგვარად ჩართონ სასწავლო პროცესში. კერძოდ, გამოკითხულ რესპონდენტთა 83.8% თვლის, რომ მასწავლებლები მოუწოდებენ ყველა ბავშვს შეუერთდეს სასკოლო გარემოს,



განურჩევლად მისი მიღწევებისა და შეზღუდული შესაძლებლობებისა; ასევე, ცდილობენ დაძლიონ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფების წინაშე არსებული ბარიერები – 69.8%; აქტიურად მოუწოდებენ სოციალურად დაუცველ ბავშვებს, ისწავლონ სკოლაში – 73.7%.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, 73.1% ეთანხმება, რომ შშმ პირებისთვის სკოლაში სწავლა მეტი პირობის დაკმაყოფილებას მოითხოვს, სხვებთან შედარებით. მხოლოდ 30.9% ამბობს, რომ სკოლის შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები. გამოკითხულთა 26.1%-მა არ იცის არსებული ინფრასტრუქტურის შესახებ.

#### 4. განსხვავებულობის მხარდაჭერა


გამოკითხულთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ყველა მასწავლებლის პასუხისმგებლობად ითვლება იმ ბარიერების დაძლევაში მხარდაჭერა, რაც ექმნებათ ბავშვებს თამაშის ან სწავლის დროს – 82.3%.

მშობლების 24.1% და მასწავლებლების 39.6% ფიქრობს, რომ არსებობს გეგმა იმისა, თუ როგორ შეუძლიათ გარე სერვისებს ინკლუზიური კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობა; გამოკითხულთა ყველაზე მაღალი წილი – 37.9% ამბობს, რომ არ იცის ამ გეგმის არსებობის შესახებ. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ არ ეხება ეს საკითხი, არასწორი ინფორმაცია აქვს. ასევე, გამოკითხულთა 42.9% თვლის, რომ მასწავლებლებმა იციან ყველა ამ გარე სერვისის შესახებ. 50.8% თვლის, რომ ჯანდაცვის, სოციალური სერვისების და განათლების სფეროს წარმომადგენლები ამ საკითხთან დაკავშირებით ერთმანეთთან თანამშრომლობენ. თუმცა, 18.3%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

მშობლების 64.3% თვლის, რომ სკოლაში აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია განსხვავებული წარმომავლობის, გამოცდილების, მიღწევების, ან ფიზიკური შესაძლებლობების მქონე ბავშვების მონაწილეობა. „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების“ პოლიტიკა მიმართულია თამაშის და სწავლის განვითარებაზე ყველასთვის და გარიყვის მინიმუმამდე დაყვანაზე – 69.5%.

გამოკითხულთა 40.7% თვლის, რომ სსსმ სტატუსის მქონე ბავშვები განიხილებიან, როგორც განსხვავებული ინტერესების, ცოდნის და კომპეტენციების მქონე, არაჰომოგენური ჯგუფი. თუმცა, 22.1%-მა საერთოდ არ იცის, რა დამოკიდებულებაა სკოლებში ამ საკითხთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებებია საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებს შორის.

საინტერესოა ასევე სსსმ მოსწავლეთა მშობლების მოლოდინები, თუ როგორ ეპყრობიან მათ შვილებს თავიანთი სტატუსიდან გამომდინარე. კვლევამ აჩვენა, რომ სსსმ მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 51.1% თვლის, რომ მათ შვილს ნაკლები მზრუნველობით არ მოეპყრობიან სსსმ სტატუსის გამო, მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე მშობლების – 70.4%, მასწავლებლების – 73% და ადმინისტრაციის წარმომადგენლების – 72.4% მოსაზრება ამ დებულებაზე გაცილებით მაღალია. თუმცა, ეს განსხვავებები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი (იხ. გრაფიკი №11).




80% მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემოს წესები მინიმალური და ყველასათვის გასაგებია, თუმცა, ნაკლები - 51.3% ამბობს, რომ წესების შემუშავებაში ბავშვები და მათი მშობლებიც/მეურვეებიც მონაწილეობენ. 33.3%-მა არ იცის, არსებობს თუ არა მკაფიო და ერთიანი ხედვა დისციპლინასა და სკოლიდან გარიცხვასთან დაკავშირებით.

გამოკითხულთა 51.5% თანხმდება, რომ მასწავლებლებს, მშობლებს/მეურვეებს, სამეურვეო საბჭოს და ბავშვებს აქვთ ერთნაირი ხედვა იმის შესახებ, თუ რა ითვლება დამცირებად. 23.5% ეთანხმება დებულებას, რომ არსებობს დოკუმენტი დამცირების შესახებ, რომელიც დეტალურად აღწერს, რომელი ქცევა არის მისაღები და რომელი - მიუღებელი, თუმცა, 55.1% არ ფლობს ინფორმაციას აღნიშნულ დოკუმენტთან დაკავშირებით; ასევე, 35.2%-მა არ იცის, ხდება თუ არა დამცირების შემთხვევების აღრიცხვა. 38.8% ამბობს, რომ ბავშვები ჩართულები არიან დამცირების აღმკვეთი და მინიმუმამდე დამყვანი რეგულაციების შექმნაში. 74.2% ამბობს, რომ ბავშვებისთვის ცნობილია, ვის უნდა მიმართონ, თუ დამცირებას განიცდიან.

## 5. თამაშის და სწავლის წარმართვა

გამოკითხულთა 79.2% თვლის, რომ აქტივობები იგეგმება ყველა ბავშვის სწავლის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა, მეორე მხრივ, კვლევამ აჩვენა, რომ დაგეგმილი აქტივობები ნაკლებად ითვალისწინებენ სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს და ინტერესებს. სსსმ მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 33.3% თვლის, რომ მასწავლებლები თავს არიდებენ ჯგუფების ორგანიზებას მიღწევის დონის, ე.წ. „უნარების“ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მიხედვით, მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების 46.4% იზიარებს ამ დებულებას (sig=.002). ამასთან, სსსმ მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 39.6% და ტიპური განვითარების მქონე ბავშვების მშობლების 59.3% თვლის, რომ აქტივობები ასახავენ ყველა ბავშვის ინტერესებს, გამოცდილებას და კომპეტენციებს, მათი მიღწევების, ენის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების, კლასის, ეთნიკური წარმომავლობის, კულტურისა და რელიგიური მრწამსის განურჩევლად (sig=.013). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 40.4%-მა არ იცის მასწავლებლების სტრატეგია ჯგუფების ორგანიზებასთან დაკავშირებით, კერძოდ, არ იციან, ცვლიან თუ არა მასწავლებლები ჯგუფების შემადგენლობას პერიოდულად, სოციალური ერთობის შესაქმნელად (იხ.გრაფიკი №12).



როგორც კვლევის შედეგებმა ცხადყო, სკოლების ძალიან მცირე ნაწილში არიან თარჯიმნები სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების, ან უცხოენოვანი ბავშვებისთვის – 14.9%. გამოკითხულთა 43.1%-ს არ აქვს ინფორმაცია ამ საკითხზე. ამასთან, მხოლოდ 29.7% ეთანხმება დებულებას, რომ მასწავლებლები იყენებენ ჟესტურ ენას სიმღერებსა და ლექსებში და, რომ მასწავლებლები იყენებენ სახის გამომეტყველებას და სხეულის ენას ინფორმაციის მიწოდების ალტერნატიულ გზად – 46.7%. გამოკითხულთა 36.4%-მა არ იცის, მიმართავენ თუ არა მასწავლებლები აღნიშნულ ხერხს გაკვეთილის პროცესში. საინტერესოა ის, რომ რესპონდენტთა 30.9%-მა არ იცის, ჰყავთ თუ არა მასწავლებლებს დამხმარე ასისტენტები და მონაწილეობენ თუ არა ისინი ბავშვების აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში – 31.1%.

რესპონდენტთა 84.3% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები ყველა ბავშვს ანიჭებს სიამოვნებას და ახალისებს სწავლის სურვილს. 67.2% ეთანხმება, რომ მასწავლებლები იყენებენ ალტერნატიულ გზებს, რომლითაც სსსმ ბავშვებს გარკვეულ აქტივობებში ჩართვის საშუალებას აძლევენ. თუმცა, ამ დებულებას სსსმ მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 46.8% ეთანხმება, მაშინ, როდესაც ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა მშობლების 63% იზიარებს ამ დებულებას (sig=.056 – მარგინალურად მნიშვნელოვანია).

გამოკითხულთა 54.9% ეთანხმება, რომ აქტივობები ავითარებენ განსხვავებული წარმომავლობის, კულტურის, ეთნიკური მიკუთვნებულობის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიისადმი ტოლერანტობას. 66.3% კი ამბობს, რომ მასწავლებლები ერიდებიან კლასობრივი, რასისტული, სექსისტური, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანთა მიმართ დისკრიმინაციული შენიშვნების გაკეთებას. ასევე, მასწავლებლები ერიდებიან ბავშვების შესახებ მსჯელობისას და წერისას ცნება „უნარის“ გამოყენებას – 52.3%.

გამოკითხულთა 70.1% თვლის, რომ მასწავლებლები ეწინააღმდეგებიან შშმ ადამიანების შესახებ არსებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. თუმცა, მხოლოდ 34.9% ამბობს, რომ წიგნები, ნახატები, სათამაშოები, თოჯინები ასახავენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არასტერეოტიპულად და ყოველდღიურ სიტუაციებში. გამოკითხულთა 32.8%-ს კი არ აქვს ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება სპორტულ აქტივობებში მოსწავლეების ჩართვას, გამოჩნდა, რომ მსგავსი ტიპის აქტივობები ნაკლებად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებს. კერძოდ, ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეთა მშობლების 82.1% თვლის, რომ სპორტულ აქტივობებში ყველას შეუძლია ჩართვა, განურჩევლად კომპეტენციისა და შეზღუდული შესაძლებლობებისა.

## 6. რესურსების მობილიზება

ზოგადად მიიჩნევა, რომ სასკოლო გარემო მოწესრიგებული და კომფორტულია - 75.5%. ამასთან, 76.3% თვლის, რომ მასწავლებლებმა იციან, რა რესურსები არის განკუთვნილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების მხარდასაჭერად. თუმცა, 19.9%-მა არ იცის, რა ფინანსური რესურსი აქვს სკოლას და როგორ ნაწილდება ის. გამოკითხულთა 45.3% ამბობს, რომ სკოლაში და პროფესიულ კოლეჯში არსებობს შშმ მოსწავლისთვის საჭირო ადაპტირებული მასალები (დიდი შრიფტით, ან ბრაილის შრიფტით ნაწერი მასალები, აუდიოჩანაწერები).

კითხვარმა „გზა ინკლუზიისკენ – ბარომეტრი“ გამოავლინა, რომ საქართველოში ინკლუზიური განათლების მოდელის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელია ცვლილებების განხორციელება როგორც საკანონმდებლო ბაზის, ასევე პრაქტიკული განხორციელებისთვის მნიშვნელოვან სფეროებში.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ინკლუზიური განათლების მონიტორინგის სისტემის შემუშავება. აღნიშნული ხელს შეუწყობს როგორც პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, ასევე საშუალებას მისცემს პოლიტიკის განმსაზღვრელებს ნაბიჯ-ნაბიჯ განვითარების სქემა უფრო თვალსაჩინო გახადონ.

მონიტორინგისათვის ადეკვატური იარაღია კითხვარი „ინდექსი ინკლუზიისთვის“, რომელიც საკმარისად მარტივი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ რესურსცენტრებმა, სკოლებმა და პროფესიულმა სასწავლებლებმა გამოიყენონ რეგულარულად, თუნდაც წელიწადში ერთხელ, საჭიროებებისა და პროგრესის შესაფასებლად.

უაღრესად მნიშვნელოვანია, ასევე, სისტემური მიდგომა ინფორმაციის მოპოვებისა და გადაცემისადმი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად და კოორდინირებულად უნდა გროვდებოდეს და ინახებოდეს. ამისათვის კი, საჭიროა: ა: სხვადასხვა უწყების კოორდინირებული მუშაობა, ბ: ინფორმაციის შეგროვების მკაფიო მოთხოვნების ჩამონათვალის შექმნა (მაგ: რომელი სტატისტიკური მონაცემებია საჭირო) და ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის ნათელი სისტემის შემუშავება.

სულ მცირე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები უნდა თანამშრომლობდნენ ინფორმაციის მოპოვებისა და შენახვის ერთიანი სისტემის შექმნის პროცესში, საჭიროა ასევე, სხვა უწყებების ჩართვა, როგორც-იცაა სტატისტიკის ეროვნული სამსახური, პროფესიული და არასამთავრობო ორგანიზაციები.

საკანონმდებლო დონეზე აუცილებელია უმაღლესი და პროფესიული განათლების კანონებში ინკლუზიური განათლების მოდელის გათვალისწინება, რაც გაზრდის განათლების შესაბამისი საფეხურების უზრუნველყოფელი ორგანიზაციების პასუხისმგებლობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და/ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისადმი.

რაც შეეხება ინკლუზიური განათლების მოდელის განხორციელებაში უშუალო მონაწილე მხარეების მოსაზრებებს, მთლიანობაში, რესპონდენტები ინკლუზიური განათლების სისტემის საკმაოდ დადებით სიტუაციას ხატავენ და მხოლოდ მატერიალურ პირობებს მიიჩნევენ არასათანადოდ განვითარებულად. მათი აზრით, სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში თბილი და თანამშრომლური ატმოსფეროა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია, დამოკიდებულებები პარიტეტულია, სასკოლო გარემო კეთილგანწყობილია, მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები ერთმანეთს პატივს სცემენ; თუ პრობლემა წამოიჭრება, ყველამ იცის, ვის მიმართოს, სასკოლო გარემოს წესები მინიმალური და ყველასათვის გასაგებია. სასკოლო გარემო მეტ-ნაკლებად ღიაა განსხვავებული ბავშვების მიმართ და მასწავლებლები პატივს სცემენ ბავშვების იდენტობების და კულტურების მრავალფეროვნებას, მათ შორის, მრავალეთნიკური წარმომავლობის მქონეთ. ამასთანავე, დაწესებულებები ისევე ეხმარებიან ახალ თანამშრომლებს ადაპტაციაში, როგორც მოსწავლეებს.

მატერიალური პირობების მხრივ, მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა – გამოკითხულთა მხოლოდ დაახლოებით მესამედი ამბობს, რომ სკოლის შენობაში გათვალისწინებულია შშმ პირების საჭიროებები და, რომ სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში არსებობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის/სტუდენტისთვის საჭირო ადაპტირებული მასალები, მუშაობენ თარჯიმნები. შესაბამისად, მეტი ფინანსებია საჭირო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯებისათვის, რომ პირობები გაუმჯობესდეს. აუცილებელი არაა, რომ ამ ფინანსების



წყარო მხოლოდ სახელმწიფო იყოს, კერძო შემოწირულობები დაფინანსების კიდევ ერთი წყაროა. შესაძლოა, სკოლების და პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაციას ტრენინგები ჩაუტარდეს ფონდების მოძიების უნარის განსავითარებლად.

კვლევამ აჩვენა, რომ ინკლუზიური ღირებულებების ჩამოყალიბების მხრივ, ჯერ კიდევ დიდი გზა გასავლელი:

მოსწავლეების ერთმანეთისადმი დამოკიდებულება ჯერ არ არის სასურველ დონეზე განვითარებული, რესპონდენტთა მხოლოდ ნახევარს მიაჩნია, რომ ბავშვები აღიარებენ მათგან განსხვავებული ბავშვების მიღწევებს და ერიდებიან მათ მიმართ დისკრიმინაციულ, ან დამამცირებელი სახელების გამოყენებას. რაც კიდევ უფრო ყურადსაღებია, რესპონდენტთა მესამედზე ნაკლები თვლის, რომ სკოლაში განსხვავებულობის პატივისცემა უფრო მეტად ხდება, ვიდრე „ნორმისადმი“ შესაბამისობის ხაზგასმა და რომ ენის სხვადასხვაგვარობა, კუთხური აქცენტები და დიალექტები განიხილება, როგორც სარგებლის მომტანი სკოლისა და ფართო საზოგადოებისათვის. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა 22.1%-მა საერთოდ არ იცის, რა დამოკიდებულებაა სკოლებში ამ საკითხთან დაკავშირებით. ხოლო, საგანგაშოა, რომ გამოკითხულების მხოლოდ 4.5% თვლის გეი და ლესბოსელ ადამიანებს სასკოლო გარემოში დაფასებულად და აღიარებულად, როგორც მრავალფეროვნების ნაწილს, ხოლო გამოკითხულთა 41.9% ამბობს, რომ არ ფლობს ინფორმაციას. შესაძლებელია, ისინი თავს არიდებენ პასუხს.

გამოკითხულთა ნახევარს მიაჩნია, რომ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ავითარებენ განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, კულტურის, გენდერის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციისა და რელიგიისადმი ტოლერანტობას. თუმცა, მხოლოდ 35.5% ამბობს, რომ წიგნები, ნახატები, სათამაშოები, თოჯინები ასახავენ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს არასტერეოტიპულად და ყოველდღიურ სიტუაციებში. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ გამოკითხულთა 40.5%-მა არ იცის, წარმოადგენს თუ არა მასწავლებელთა დანიშვნისთვის არსებით კრიტერიუმს ბავშვებს შო-რის განსხვავებულობის აღიარება.

შესაბამისი რეკომენდაცია იქნება სკოლებში სპეციალური ღონისძიებების გატარება, რათა მოსწავლეთა შეგნების დონე გაიზარდოს. ეს შეიძლება იყოს სკოლის ადმინისტრაციის და მასწავლებლების მშობლებთან საუბარი, ამ სფეროს სპეციალისტების მოწვევა მშობლებთან შესახვედრად, სხვადასხვა კლასის მოსწავლეებისთვის გაკვეთილის/გაკვეთილების ჩატარება მრავალფეროვნების თემაზე. ამ მხრივ, საყურადღებოა აშშ სკოლების გამოცდილების გაზიარება, სადაც დიდი წარმატებებია მრავალფეროვნების აღიარების საკითხში.

ასევე, პრობლემებია მუშაობის და მართვის დემოკრატიული სტილის დამკვიდრებასთან დაკავშირებით: მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპები ჯერ კიდევ არ მუშაობს სათანადოდ, ანუ, დაინტერესებული პირები სათანადოდ არ არიან ჩართული გადაწყვეტილებების მიღებაში და სტრატეგიების შემუშავებაში. მაგალითად, თუ 80.4% მიიჩნევს, რომ სასკოლო გარემოს წესები მინიმალური და ყველასათვის გასაგებია, მხოლოდ 49.7% ამბობს, რომ წესების შემუშავებაში ბავშვები და მათი მშობლებიც/მეურვეებიც მონაწილეობენ. დაახლოებით მესამედმა არ იცის, რა დისციპლინური ზომები არსებობს სკოლაში. გარდა ამისა, გამჭვირვალობის პრობლემაცაა, რადგან რესპონდენტების დაახლოებით მეხუთედმა არ იცის, რა ფინანსები აქვს სკოლას და როგორ იხარჯება ისინი.

სირთულეებია ინკლუზიის პრობლემისადმი სტრატეგიული მიდგომის კუთხით, მაგალითად, უმრავლესობის (დაახლოებით 80%-ის) აზრით, არ არსებობს ხედვა იმის შესახებ, როგორ შეიძლება სკოლებს და პროფესიულ კოლეჯებს დაეხმაროს საზოგადოება, თემი, გარე სერვისები. ეს მონაცემები მიუთითებს, რომ ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არის ნათელი და ხელმისაწვდომი ყველასთვის და მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, კერძოდ იმ ნაწილს, ვისაც უშუალოდ არ ეხება ეს საკითხი, არასწორი ინფორმაცია აქვს.

ამ ორი სირთულის გამოსასწორებლად რეკომენდაცია იქნება სკოლის და პროფესიული კოლეჯის თანამშრომლების ტრენინგი მონაწილეობითი დემოკრატიის პრინციპების, გადაწყვეტილების მიღების კოლეგიალობის, გუნდური მუშაობის და სტრატეგიული დაგეგმვის შესახებ.

სისტემის მუშაობის ხარვეზები ჩანს იქიდანაც, რომ გამოჩნდა განსვლა ტიპური და სსსმ მოსწავლეების მშობლების პასუხებში. როგორც წესი, ტიპური მოსწავლეების მშობლების უმეტესობა დადებითად აფასებს არსებულ სიტუაციას და მთლიანობაში თვლის, რომ სასწავლო გარემო ქმნის სათანადო პირობებს მათი შვილებისათვის, მაშინ, როდესაც სსსმ მოსწავლეთა მშობლების ბევრად ნაკლები რაოდენობა ფიქრობს ასე. მაგალითად, რომ სკოლაში მათ ინტერესებს სერიოზულად უდგებიან, ან, რომ ტიპური ბავშვები არ დასცინიან და კარგად უგებენ სსსმ ბავშვებს, განსხვავებულობას უყურებენ, როგორც რესურსს და არა როგორც პრობლემას, რომ სსსმ მოსწავლეებს ისევე იღებენ, როგორც ტიპური განვითარების მქონეთ. სასკოლო გარემო ხელმისაწვდომია ყველასათვის, აქტივობების დაგეგმვისას ცდილობენ ყველა ჩართონ, ან, რომ აქტივობები ასახავს ყველა ბავშვის ინტერესებს, კომპეტენციებს და სხვა. ეს კი ნიშნავს, რომ მთლიანობაში სკოლები და პროფესიული კოლეჯები ნაკლებადაა მორგებული სსსმ მოსწავლეთა საჭიროებებს და ამას ხელავენ სსსმ მოსწავლეთა მშობლები – ისინი, ვისაც ეს პრობლემა უშუალოდ ეხება.

ასევე, გამოვლინდა განსხვავება პროფესიულ კოლეჯებსა და სკოლებს შორის, რიგ ასპექტში სკოლა მეტადაა განვითარებული და რიგ ასპექტში – კოლეჯი. აღმოჩნდა, რომ მთლიანობაში, პროფესიულ კოლეჯებში უკეთესი მდგომარეობაა მატერიალური და მორალური პირობების მხრივ: აქ უკეთესია ინფრასტრუქტურა, ასევე, კოლეჯები მეტად ეხმარებიან ახალგაძმოსულ სტუდენტებს ახალ გარემოსთან შეგუებაში, ვიდრე სკოლები. სამაგიეროდ, სკოლებში უკეთესი მდგომარეობაა საკითხისადმი დამოკიდებულებების მხრივ: სკოლის მასწავლებლებს უკეთ ესმით თავიანთი პასუხისმგებლობები სსსმ ბავშვების დახმარების კუთხით და უფრო გაგებით ეკიდებიან მათ, აღიქვამენ, როგორც განსხვავებული ინტერესების, ცოდნის და კომპეტენციების მქონეთ. სავარაუდოდ პასუხებში განსხვავება გამოწვეულია იმ მუშაობით, რომელიც ზოგადი განათლების საფეხურზე წლების განმავლობაში ხორციელდებოდა ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით. კერძოდ, 2009 წლიდან დღემდე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი მასწავლებლებს სთავაზობს ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებულ მრავალფეროვან ტრენინგებს. შესაბამისი აქტივობები პროფესიულ სასწავლებლებთან მიმართებაში ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან პროფესიული განათლების დონეზე ინკლუზიური განათლების მოდელის შეტანა მხოლოდ 2013 წლის თებერვლიდან დაიწყო. კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ინკლუზიური განათლების სხვადასხვა საკითხისადმი მიძღვნილი ტრენინგები პროფესიული სასწავლებლების პერსონალსაც ჭირდება.

1. კანონი ზოგადი განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: [http://mes.gov.ge/publicInfo/?page\\_id=171](http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171) (24.03.14)
2. კანონი პროფესიული განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: [http://mes.gov.ge/publicInfo/?page\\_id=171](http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171) (24.03.14)
3. კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; იხ. ვებგვერდი: [http://mes.gov.ge/publicInfo/?page\\_id=171](http://mes.gov.ge/publicInfo/?page_id=171) (24.03.14)
4. ეროვნული სასწავლო გეგმა; იხ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება 36/ნ; 11.03.2011 წ.;
5. სალამანკას დეკლარაცია; წყარო „ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება“, 2008 წ.;
6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს კონვენციის“ რატიფიცირების თაობაზე; საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდი, დადგენილება 1888-რს, 27.12.13
7. EASPD (2011): Dissemination Executive Summary Paper: EASPD-Barometer of Inclusive Education in Selected European Countries, Brussels/Siegen, ZPE, University of Siegen;
8. Pathway to Inclusion (P2i) (2012): European Project, funded by the Lifelong Learning Programme (Comenius) of DG Education & Culture. On these pages you will find information on the project and on inclusive education in general:<http://pathwaystoinclude.eu/>, 05-01-2012;
9. Vaughan, M. (2002): An Index for Inclusion. in: European Journal of Special Needs Education, Vol. 17, Issue 2, pp. 197 - 201

## დანართი #1: „გზა ინკლუზიისკენ - ბარომეტრი“ კვლევაში მონაწილე ევროკავშირის ქვეყნების სია

1. ავსტრია
2. ბელგია
3. საფრანგეთი
4. ჰოლანდია
5. ფინეთი
6. სლოვენია
7. პორტუგალია
8. ირლანდია
9. გერმანია
10. უნგრეთი

## დანართი #2: კითხვარი „გზა ინკლუზიისკენ - ბარომეტრი“

P2I – ქვეყანაში ინკლუზიური განათლების შეფასების კითხვარი<sup>3</sup>  
 ინკლუზიური განათლების ბარომეტრი

### შეფასების ინსტრუმენტი, ნაწილი A: ეროვნული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები

<p>A1 ინკლუზიური განათლების უფლების შეთანხმებულობა</p> <p>ეროვნულ და რეგიონალურ/ფედერალურ დონეზე ინკლუზიური განათლების უფლებასთან დაკავშირებით (მაგ., განათლების კანონი, ანტიდისკრიმინაციული კანონი, შექმნილი შესაძლებლობების შესახებ კანონები, ბავშვთა უფლებები და ა.შ.) სხვადასხვა სახელმწიფო კანონებს შორის არსებობს შეთანხმებულობა.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
<p>A2 უფასო დაწყებითი ინკლუზიური განათლება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით, დაწყებითი ინკლუზიური განათლება უფასოა.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>

3 მოცემული კითხვარი მომზადებულია შებენიანი შესაძლებლობების მქონე პირთათვის სერვისის მიწოდებულთა ევროპის ასოციაციის მიერ „გზა ინკლუზიისკენ“ ევროპული პროექტის ფარგლებში.

<p>A3 საბაზო ინკლუზიური განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ საბაზო ინკლუზიური განათლების მიღების შესაძლებლობა მათი თემის სხვა წარმომადგენლების მსგავსად.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

<p>A4 ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობის მიღება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების მშობლები ან წარმომადგენლები ეფექტურად იღებენ მონაწილეობას ინკლუზიური განათლების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

<p>A5 კატეგორიზაცია და შეფასება</p> <p>სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურა ხელს უწყობს ინკლუზიურ განათლებას.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

<p>A6 საჯარო სკოლების თანაბარი ხელმისაწვდომობა</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს აქვთ თემში არსებულ სკოლებზე თანაბარი ხელმისაწვდომობა.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

<p>A7 ხელმისაწვდომობისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ არქიტექტურული პირობები მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------



<p>A8 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ სწავლების პროცესი მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
---	--------------------------------

<p>A9 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ საკლასო ოთახის ზომები მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
---	--------------------------------

<p>A10 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ ადაპტური ტექნოლოგია მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A11 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ ფუნქციური დახმარება და ზრუნვა მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A12 საგანმანათლებლო საზომების გათვალისწინება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ საგანმანათლებლო საზომები მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებს (მაგ., ინდივიდუალური კურიკულუმი, დიდაქტური ადაპტაცია, სწავლების მეთოდები, ტესტირება).</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A13 ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლებაში დახმარება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლებაში დახმარება.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A14 კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში დახმარება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში დახმარება.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A15 მასწავლებლებისა და თანამშრომლების ტრენინგი</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ მასწავლებლების ტრენინგი ორიენტირებულია ინკლუზიური განათლების მოთხოვნებზე (ინკლუზიური სწავლების მეთოდები, შეზღუდული შესაძლებლობების გაცნობიერების გათვალისწინება, კომუნიკაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების, საგანმანათლებლო ტექნიკებისა და მასალების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდასაჭერად).</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
--	--------------------------------

<p>A16 კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით გარანტირებულია, რომ მოხდება კვალიფიციური მასწავლებლებისა და თანამშრომლების დასაქმება ეფექტური ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 - დიახ</p> <p>0 - არა</p>
---	--------------------------------

<p>A17 მესამე დონის (სკოლისშემდგომი) განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა</p> <p>სახელმწიფო კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანაბრად ხელმისაწვდომია განათლების ყველა დონე პროფესიულიდან უწყვეტი განათლების ჩათვლით.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

<p>A18 ინკლუზიური განათლების განვითარების მონიტორინგი</p> <p>სისტემის სხვადასხვა დონეზე ხდება ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობისა და პროცენტის, კლასების, სპეციალური პროფილის სასწავლო ინსტიტუციების, რომლებიც არ ეკუთვნის განათლების სისტემას, შესახებ ინფორმაციის შეგროვება და მონიტორინგი.</p> <p>ლიტერატურა:</p> <p>კომენტარები:</p>	<p>0 – დიახ</p> <p>0 – არა</p>
---	--------------------------------

დაწერეთ მოკლე შეჯამება: მონაწილე ქვეყანაში ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ბაზა





---



---

(დაახლოებით 2-3 გვერდი)

გააკეთეთ „ბარომეტრის შეფასება“ თქვენს ქვეყანაში ნაწილ A-ში „ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო სიტუაცია“ მოცემული ინფორმაციის საფუძველზე!

აღწერილი საკანონმდებლო ბაზა შეიძლება შეფასდეს, როგორც	პროგრესული დანერგვის ხელისშემშლელი	პროგრესული დანერგვის ნაწილობრივ ხელისშემშლელი	ნაწილობრივ მხარდამჭერი პროგრესული დანერგვისთვის	მხარდამჭერი პროგრესული დანერგვისთვის
				

**შეფასების ინსტრუმენტი, ნაწილი B: ინკლუზიური განათლების პრაქტიკა**

B1 ინკლუზიური განათლების პრიორიტეტი სკოლამდელსაფეხურზე (3- 5/6 წლის ასაკი)

ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ წინა-სასკოლო ან ბავშვთა ზრუნვის დაწესებულებებში, პროცენტი: \_\_\_\_\_ %

ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც:

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ძალიან მაღალი) (ძალიან დაბალი)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B2 ინკლუზიური განათლების პრიორიტეტი განათლების დაწყებით საფეხურზე

ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში, პროცენტი: \_\_\_\_\_ %

ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც:

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ძალიან მაღალი) (ძალიან დაბალი)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B3 ინკლუზიური განათლების პრიორიტეტი საბაზო (საშუალო) განათლების საფეხურზე

ბავშვები შეზღუდული შესაძლებლობებით ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებით, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში, პროცენტი: \_\_\_\_\_ %

ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც:

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ძალიან მაღალი) (ძალიან დაბალი)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B4 პრაქტიკაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიური განათლება დაწყებით სკოლებში მათი მშობლებისთვის დაკავშირებულია

**პირდაპირ ხარჯებთან** 1-----2-----3-----4  
(ძალიან მაღალი არაფერი)

**ირიბ ხარჯებთან** 1-----2-----3-----4  
(ძალიან მაღალი არაფერი)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B5 მშობლების მონაწილეობა ინკლუზიურ განათლებაში გადაწყვეტილებების მიღებაში

გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თუ მშობლები უპირატესობას ანიჭებენ ინკლუზიურ განათლებას, ეს გათვალისწინებულია.

ეს შეიძლება შეფასდეს, როგორც:

1-----2-----3-----4  
(არასოდეს ზოგჯერ ხშირად ყოველთვის)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B6 შეფასების პროცედურები მხარს უჭერს ინკლუზიურ განათლებას

„სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურები მხარს უჭერს ინკლუზიურ განათლებას“.

1 2 3 4  
(არა უფრო არა უფრო დიას დიას)

ლიტერატურა:

კომენტარები:



B7 საჯარო სკოლების თანაბარი ხელმისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობების ან სსპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებს თანაბარი ხელმისაწვდომობა აქვთ თემში არსებულ საჯარო სკოლებზე.

1	2	3	4
(არა	ნაწილობრივ	უმეტესად	ყველას)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B8 ხელმისაწვდომობისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება

პრაქტიკაში, სკოლების არქიტექტურული პირობები მორგებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ინდივიდუალურ მოთხოვნებს.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B9 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება

პრაქტიკაში, სწავლების პროცესის მხარდაჭერა მორგებულია ინდივიდის მოთხოვნებს.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B10 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება

პრაქტიკაში, საკლასო ოთახების ზომები მორგებულია ინდივიდის მოთხოვნებს.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B11 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება

პრაქტიკაში, ადაპტური ტექნოლოგია მორგებულია ინდივიდის მოთხოვნებს.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B12 სწავლებისადმი ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინება

პრაქტიკაში, ფუნქციური დახმარება და ზრუნვა მორგებულია ინდივიდის მოთხოვნებს.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B13 საგანმანათლებლო საზომების აკომოდაცია

პრაქტიკაში, საგანმანათლებლო საზომები მორგებულია ინდივიდის მოთხოვნებს (მაგ., ინდივიდუალური კურიკულუმი, დიდაქტური ადაპტაცია, სწავლების მეთოდები, ტესტირება).

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B13 ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლებაში დახმარება

მოთხოვნის შემთხვევაში, მიღებულია, რომ დახმარება აღმოუჩინონ ბრაილისა და ჟესტური ენის სწავლებაში.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B14 კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში დახმარება მოთხოვნის შემთხვევაში, მიღებულია, რომ დახმარება აღმოუჩინონ კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B15 მასწავლებლებისა და თანამშრომლების ტრენინგი

მასწავლებლების ტრენინგი ორიენტირებულია ინკლუზიური განათლების მოთხოვნებზე.

ინკლუზიური სწავლების მეთოდები, შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ გაცნობიერების გაზრდა გათვალისწინება, კომუნიკაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების, საგანმანათლებლო ტექნიკებისა და მასალების გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდასაჭერად).

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B16 კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება

პრაქტიკაში დასაქმებულები არიან კვალიფიციური მასწავლებლები და თანამშრომლები ეფექტური ინკლუზიური განათლების უზრუნველსაყოფად.

1	2	3	4
(არა	უფრო არა	უფრო დიახ	დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

B 17 მესამეული განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა

სახელმწიფო კანონმდებლობით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის თანაბრად და დისკრიმინაციის გარეშე ხელმისაწვდომია განათლების ყველა დონე პროფესიულიდან უწყვეტი განათლების ჩათვლით.

ლიტერატურა:

კომენტარები:

B 18 ინკლუზიური განათლების განვითარების მონიტორინგი

ხდება ინკლუზიური განათლების პროგრესზე ეროვნული მონაცემების სისტემატური შეგროვება და მონიტორინგი.

1                      2                      3                      4  
 (არა                უფრო არა                უფრო დიახ                დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

გთხოვთ, დაწეროთ მოკლე შეჯამება: „ინკლუზიური განათლება პრაქტიკა“ თქვენს ქვეყანაში!

(დაახლოებით 2-3 გვერდი)

გთხოვთ, გააკეთეთ „ბარომეტრის შეფასება“ B ნაწილის „ინკლუზიური განათლების პრაქტიკა მონაწილე ქვეყანაში“ თქვენი ქვეყნის შესახებ ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით!

პრაქტიკაში, ინკლუზიური განათლება შეიძლება შეფასდეს, როგორც	არ ხორციელდება	უფრო მეტად არ ხორციელდება, ვიდრე ხორციელდება	ნაწილობრივ ხორციელდება	სრულებით ხორციელდება

შეფასების ინსტრუმენტი, ნაწილი C: გზა ინკლუზიური განათლებისკენ

C 1 ინკლუზიური განათლების განვითარება სკოლამდელ საფეხურზე

ბავშვების პროცენტი, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ სკოლამდელ დაწესებულებებში ან ბავშვთა ზრუნვის სერვისებში სკოლამდელ საფეხურზე

2006: \_\_\_\_ %

2009: \_\_\_\_ %

2012: \_\_\_\_ %

განვითარების ეს მაჩვენებლები შეიძლება შეფასდეს, როგორც

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ცუდი - უფრო ცუდი, ვიდრე კარგი - პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

C 2 ინკლუზიური განათლების განვითარება დაწყებითი განათლების საფეხურზე

ბავშვების პროცენტი, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ დაწყებითსკოლაში:

2006: \_\_\_\_ %

2009: \_\_\_\_ %

2012: \_\_\_\_ %

განვითარების ეს მაჩვენებლები შეიძლება შეფასდეს, როგორც

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ცუდი - უფრო ცუდი, ვიდრე კარგი - პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

C 3 ინკლუზიური განათლების განვითარება საბაზო განათლების საფეხურზე

ბავშვების პროცენტი, რომლებიც არ არიან ჩვეულებრივ საშუალო სკოლაში

2006: \_\_\_\_ %

2009: \_\_\_\_ %

2012: \_\_\_\_ %

განვითარების ეს მაჩვენებლები შეიძლება შეფასდეს, როგორც

1 ----- 2 ----- 3 ----- 4

(ცუდი - უფრო ცუდი, ვიდრე კარგი - პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

C 4 ინკლუზიური განათლებისთვის საკანონმდებლო ბაზისა და ჩარჩოს შეთანხმებულობის განვითარება

2003 წლიდან ინკლუზიური განათლების ხელშესაწყობად მოხდა საკანონმდებლო ბაზის შესაბამის სექტორებს შორის შეთანხმებულობის მიღწევა

1                    2                    3                    4

(არ არის ინიციატივები - ინიციატივების მცირე რ-ბა - გარკვეული ცვლილებები - მნიშვ. ცვლილებები)

ლიტერატურა:

კომენტარები:



C 5 ინკლუზიური განათლებაში გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეების განვითარება

გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი ან მისი ადვოკატები (მშობლები) გამოთქვამენ ინკლუზიური განათლების სასარგებლოდ არჩევანს, მას მიყვებიან (ითვალისწინებენ).

2003 წლიდან განვითარება ამ მიმართულებით შეიძლება შეფასდეს, როგორც

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 6 შეფასების პროცედურების ინკლუზიური ორიენტაციის განვითარება

2003 წლიდან მოხდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასების პროცედურების განვითარება ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 7 საჯარო სკოლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განვითარება

2003 წლიდან, როგორ შეაფასებდით შეზღუდული შესაძლებლობების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისთვის მათ თემში არსებული სკოლების თანაბარი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობების განვითარების თვალსაზრისით?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 8 ჩვეულებრივი სკოლების არქიტექტურული ბარიერებისგან განთავისუფლების პროცესი

2003 წლიდან, როგორ შეაფასებდით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების ხელმისაწვდომობისთვის ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში არქიტექტურული პირობების განვითარებას?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 9 ინდივიდის სწავლის მოთხოვნებისადმი თანამშრომლების აკომოდაციის პროცესი

როგორ შეაფასებდით 2003 წლიდან ინკლუზიურ გარემოში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების სწავლებისთვის ინდივიდის მოთხოვნების გათვალისწინებით შესაბამისი თანამშრომლების მისაწვდომობის განვითარებას?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 10 საკლასო ოთახის ზომების განვითარება

როგორ შეაფასებდით 2003 წლიდან საკლასო ოთახის ზომების აკომოდაციის პროცესს ინკლუზიურ გარემოში ინდივიდის მოთხოვნების გათვალისწინებით?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 11 ადაპტური ტექნოლოგიის აკომოდაციის განვითარება

როგორ შეაფასებდით 2003 წლიდან ადაპტური ტექნოლოგიის არსებობის განვითარებას ინკლუზიურ გარემოში ინდივიდის მოთხოვნების გათვალისწინებით?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 12 ფუნქციური დახმარებისა და ზრუნვის არსებობის განვითარება

როგორ შეაფასებდით 2003 წლიდან ფუნქციური დახმარებისა და ზრუნვის განვითარების პროცესს ინკლუზიურ გარემოში ინდივიდის მოთხოვნების შესაბამისად?

1 2 3 4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 13 საგანმანათლებლო საზომების აკომოდაციის განვითარება

როგორ შეაფასებდით 2003 წლიდან საგანმანათლებლო საზომების აკომოდაციის განვითარების პროცესს ინკლუზიურ გარემოში (მაგ., ინდივიდუალური კურიკულუმი, დიდაქტური ადაპტაცია, სწავლების მეთოდები, ტესტირება)?

1                      2                      3                      4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 14 ბრაილისა და ჯესტური ენის სწავლებაში დახმარების განვითარება

როგორ შეაფასებდით ბრაილისა და ჯესტური ენის სწავლების გაადვილების განვითარებისკენ მიმართულ პროცესს ინკლუზიურ გარემოში, თუ ეს საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნების გამო?

1                      2                      3                      4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C15 კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში დახმარების განვითარება

როგორ შეაფასებდით კომუნიკაციისა და ორიენტაციის აუგმენტატური და ალტერნატიული ფორმების სწავლებაში დახმარების განვითარების პროცესს ინკლუზიურ გარემოში, თუ ეს საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნების გამო?

1                      2                      3                      4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 16 მასწავლებელთა ტრენინგის განვითარება

2003 წლიდან მასწავლებელთა ტრენინგი უფრო ორიენტირებული გახდა ინკლუზიურ განათლებაზე?

1                      2                      3                      4

(არა უფრო არა უფრო დიახ დიახ)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 17 პროფესიული სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განვითარება

როგორ შეაფასებდით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის პროფესიული განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას 2003 წლიდან?

1                      2                      3                      4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 18 უწყვეტი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის განვითარება

როგორ შეაფასებდით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის უწყვეტი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას 2003 წლიდან?

1                      2                      3                      4

(არ არის ცვლილება - მცირედი - უფრო პოზიტიური - ძალიან პოზიტიური)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 19 ინკლუზიურ განათლებაზე მონიტორინგის სისტემების განვითარება

როგორ შეაფასებდით ინკლუზიურ განათლებაზე მონიტორინგის სისტემების განვითარებას?

1                      2                      3                      4

(ძალიან ნეგატიურად - უფრო ნეგატიურად - უფრო პოზიტიურად - ძალიან პოზიტიურად)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 20 პროფესიული ორგანიზაციების აქტიურობის განვითარება ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაში?

როგორ შეაფასებდით პროფესიული ასოციაციების (მაგალითად, სპეციალური მასწავლებლების ასოციაციები, სპეციალური სკოლები, მასწავლებელთა გაერთიანებები) მონაწილეობისა და აქტივობების განვითარებას ინკლუზიური განათლების ხელშეწყობაში?

1                      2                      3                      4

(ძალიან ნეგატიურად - უფრო ნეგატიურად - უფრო პოზიტიურად - ძალიან პოზიტიურად)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 21 მთავრობების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განვითარება

როგორ შეაფასებდით მთავრობების ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული აქტივობების განვითარებას ინკლუზიური განათლების ხელშეწყობისთვის?

1                      2                      3                      4

(ძალიან ნეგატიურად - უფრო ნეგატიურად - უფრო პოზიტიურად- ძალიან პოზიტიურად)

ლიტერატურა:

კომენტარები:

C 22 პროგრესის პერსპექტივები

მოსალოდნელია, რომ 2014 წლისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების პროცენტი, რომლებიც არ არიან ჩართულნი ჩვეულებრივ საჯარო სკოლებში

1                      2                      3                      4

(მეტია, ვიდრე 2010-ში - იგივეა - ნაკლებია - ბევრად ნაკლებია 2010-თან შედარებით)

ლიტერატურა:

კომენტარები:

გთხოვთ, დაწერეთ მოკლე შეჯამება: „ინკლუზიური განათლების პროგრესი“ თქვენს ქვეყანაში!





---



---

(დაახლოებით 2-3 გვერდი)

გთხოვთ, გააკეთეთ „ბარომეტრის შეფასება“ C ნაწილის „ინკლუზიური განათლების პროგრესი მონაწილე ქვეყანაში“ თქვენი ქვეყნის შესახებ ზემოთ მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით!

ინკლუზიური განათლების პროგრესი შეიძლება შეფასდეს, როგორც	არაა ცვლილება	ნელი განვითარება	მნიშვნელოვანი განვითარება	ძალიან მნიშვნელოვანი განვითარება
				





Survey Is Prepared by Ilia State University within the Project „Implementation of Inclusive Education in Vocational Education and Training System of Georgia“

# INCLUSIVE EDUCATION INDICATORS IN GEORGIA

SURVEY REPORT, 2013

Researchers:

Tinatin Tchintcharauli – Associate Professor at Ilia State University  
PhD

Nino Javakhishvili- Full Professor at Ilia State University  
PhD



# CONTENTS

- I. Introduction..... 51
- II. Project Goals and Objectives ..... 52
- III. Methodology..... 53
- IV. Main Results of the Survey..... 56
- V. Summary and Recommendations..... 71
- VI. Reference..... 73
- VII. Annexes..... 74

# I INTRODUCTION

Salamanca Statement of 1994 and the UN Convention on the Rights of Persons with Disabilities (CRPD) of 2006 have significantly changed the attitude to the education of persons with special needs. Salamanca Statement became the baseline for the worldwide acknowledgment of the Inclusive education model. According to this model, every individual, despite the abilities and limitations is entitled to get education together with their peers (majorities). Inclusive education has been announced as one of the priorities of the educational reform since 2006 and currently it constitutes the obligatory part of the State policy. Starting from 2006 at the general education level, and later, in 2013 at the vocational education level, practicing of the inclusive teaching model is considered to be the obligation of the relevant educational institutions.

